# საერთო გაზეთი

№38 (588) • 25 ნოემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## არავითარი რიგგარეშე არჩევნები – შევლენ ეს მათხოვრები პარლამენტში? – კარგი! არ შევლენ – კიდევ უფრო კარგი!



**რიგგარეშე არჩევნები – ეს იქნება „ვარდების რევოლუცია“ N2, რომლის შედეგად საქართველო ახალ ყარაბაღად იქცევა!**

ესენი არც ევროკავშირს უწევენ ანგარიშს, არც აშშ-ს, მაგრამ, აბა, ერთი მოსკოვიდან უბრძანონ, შაგომ მარშ პარლამენტისკენო, იმწამსვე შელაგდებიან



## რომან რურუა:

საქართველოს გაბრწყინების დრო კარზე მოგვადგა. თუ ამ დროს ხელიდან გავუშვებთ და ვერ გამოვიყენებთ, მეორედ ამის შანსი, შესაძლოა, აღარც მოგვეცეს

## ბანდიტები





## სოსო ცინცაძე:

ბაიდენის გაპრეზიდენტება საქართველოსთვის შეიძლება მეტი სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს...

## გიგი უგულავა,

შე მართლა პატარა კაცო, შორს, შენი ბინძური ხელები წულუკიანებისგან



ავთანდილ წულუკიანი

## როგორ შევუნარჩუნოთ სახე ოპოზიციას?

პლასტიკური ქირურგი „ხუხა“ გვირჩევს!

## ბრიყვთა ბრიყვნი და შუშა კიტრები

რატომ მოვიხსენიებ ამ ადამიანებს ასე უდიერად? იმიტომ, რომ თავები მოაქვთ შუშა კიტრებად და ამ დროს წერა-კითხვაც კი უჭირთ

## ძმები ბერძენიშვილების ბიზნესი

# არავითარი რიგგარეშე არჩევნები – შევლენ ეს მათხოვრები პარლამენტში? – კარგი! არ შევლენ – კიდევ უფრო კარგი!

## რიგგარეშე არჩევნები – ეს იქნება „ვარდების რევოლუცია“ N2, რომლის შედეგად საქართველო ახალ ყარაბაღად იქცევა

## ესენი არც ევროკავშირს უწევენ ანგარიშს, არც აშშ-ს, მაგრამ, აბა, ერთი მოსკოვიდან უბრძანონ, შაგომ მარშ პარლამენტისკენო, იმწამსვე შელაგდებიან





**ვახტანგ ხარჩილავა:**

— დაგვღალეს და სიქა გაგვაცალეს ამ მათხოვრებმა-ო! წუხს ერთი ფეისბუქმომხმარებელი სოციალურ ქსელებში.

— მათხოვრები კი არა, ეგენი არიან, რაც არიან — ვერ ხედავთ, რა პატივში ჰყავთ ელჩებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორი მოწიწებით და პატივისცემით, როგორი მორიდებით ელაპარაკებიან? დიპლომატიური ხელოვნების ყველა ელემენტს იყენებენ, რომ როგორმე



პარლამენტში შესვლაზე დაიყოლიონ, მაგრამ არაფერი გამოდის, — მაინცდამაინც ხელახალი არჩევნები გვინდაო.

ეხვეწებიან, ემუდარებიან, ამუნათებენ: ხომ ხედავთ, ადამიანები პანტაპუნტით იხოცებიან, საავადმყოფოებში ადგილები არ არის, ქვეყანას უჭირს, შედით პარლამენტში და იქიდან გააგრძელეთ ბრძოლა, რაღა დროს მიტინგები და აქციებია, რაღა დროს ბოიკოტიო, მაგრამ ამათზე არაფერი არ ჭრის, ამათ ყველა და ყველაფერი ფეხებზე კიდიათ — ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს, მორჩა და გათავდაო.

ელჩებიდან გამოსულებს ჟურნალისტები დაეხვევიან ხოლმე — იქნებ გვითხრათ, რას გეუბნებიან ელჩები? რამდენად კატეგორიულია მათი მოთხოვნები, მათი წინადადებები და რეკომენდაციებიო?

— არავითარი კატეგორიული ტონი და ხისტი მოთხოვნები... ძალზე დელიკატურად გვესაუბრებიან, კეთილგანწყობილად, პატივისცემით. კატეგორიულად რატომ უნდა გველაპარაკონ? ისინი ხომ ჩვენი უფროსები არ არიან, — ამაყად პასუხობენ ესენი.

აი, ამას კი ნამდვილად მართალს ამბობენ სხვა ყველაფერში ცრუპენტელა და მატყუარა ეს ოპოზიციური პარტიების ლიდერები — არც ევროკავშირის ელჩი, არც აშშ-ს ელჩი, არც სხვა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოების ელჩები, ნამდვილად არ არიან ამათი უფროსები — ამათ სხვა უფროსები ჰყავთ და მხოლოდ მათ ბრძანებებს და მითითებებს ემორჩილებიან.

ამათი უფროსებიდან ორის გვარ-სახელი ზუსტად ვიცით — მიხეილ სააკაშვილი და თემურ ალასანია. ამ უფროსებსაც, თავის მხრივ, თავისი უფროსები ჰყავთ. აღმავალი ხაზით მიმავალი ამ უფროსების ჯაჭვი კი ერთი საერთო ქოლგის ქვეშ იყრის თავს, ამ საერთო ქოლგის სახელი კი რუსული სპეცსამსახურებია.

რით ვერ გაიგეს, რით ვერ მიხვდნენ ამას ჩვენი მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლები, ვინ არის ამათი უფროსობა, როცა მისახვედრი, ამოსაცნობი და გასაშიფრი არც არაფერია — ყველაფერი ნათელია, ყველა კარტი გახსნილია.

**იმდენად ღიად და დემონსტრაციულად გამოხატეს სრული უპატივცემულობა, სრული იგნორი ეუთოს, ოდირის, ევროკავშირის, აშშ-ს წარმომადგენლობის მიმართ, კიდევ რით უნდა მიგახვედრონ, კიდევ რა უნდა გითხრან ისეთი, რომ დაიჯეროთ — ეს ძალა რუსული აგენტურაა.**

თქვენ ხომ ანგარიშს არ გიწევენ, თქვენ ხომ აბუჩად გიგდებენ — აბა, ერთი მოსკოვიდან უბრძანონ — „ხვატიტ რებიატა, მაზგი იბატ, შაგომ მარშ პარლამენტისკენო“, — მყისვე სიმაღლის მიხედვით დაეწყობიან და ეგრევე შელაგდებიან პარლამენტში.

უკვე არც მალავენ, ვინც არიან — ამათი ერთი უფროსი სააკაშვილი მთელ დასავლეთს დედ-მამის სულს უტრიალებს, მეორე „უფროსი“, თემურ ალასანია, სახელმწიფო გადატრიალების გეგმას ათანხმებს ადგილობრივ ქვეშევრდომებთან, „ჩიტო-გვრიტო“ რუსული სიმღერით ხსნის მიტინგს, აგიტაცია-პროპაგანდის მიმართულებით რუსი პიარშჩიკები მუშაობენ, ნაცმოძრაობის თავმჯდომარე ისედაც რუსი პოლიტიკოსი გრიგოლ ვაშაძეა, ბოკერიაა და კალაშნიკოვით ხელში მორბოდა ბალტონის წინ, 2008-ში კი რუსულ-ქართული „სავაჭრო“ გარიგების დროს ერთ-ერთი მთავარი ბროკერი იყო, მერაბიშვილი რუსული კადრია, „ტიოტია ნინა“ კი, ახლა რომ მზრუნველი კრუხივით თავს დასტრიალებს „ნაცმოძრაობის“ და „ნაცმოძრაობის“ კვერცხებიდან გამოჩეკილ წიწილებს — არიქა, არ დაიფანტონ, ან სხვის მიერ დაყრილი საკენკისკენ არ წაუცდეთ ნისკარტიო, რუსული „მატრიოშკის“ პრინციპზეა აწყობილი — გარედან თითქოს ერთია, შიგნით კი რამდენიმე ფიგურაა ერთმანეთში ჩალაგებული.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული 2012 წლის შემოდგომამდე რუსული აგენტურა მართავდა საქართველოს, თუმცა იმას მართვა კი არა, პარტახი და ნგრევა უფრო ჰქვია, თქვენ კი, ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან, ამ აგენტურას „დემოკრატიის შუქურებს“ ეძახდით, მხარს უჭერდით, ამხნევებდით, ეხმარებოდით, იცავდით.

**— რვა წლის განმავლობაში ქუჩაში გვხვრეტდნენ და გვხოცავდნენ — არაფერი! ციხეებში გვყრიდნენ და გვაწამებდნენ — არაფერი! მამაკაცებს აუპატიურებდნენ — არაფერი! საქართველოს ტერიტორიის 20%-ი რუსებს უფეშქაშეს — არაფერი! — ეს ავაზაკები მაინც დემოკრატიის მებაირახტრეებად და მედროშეებად იწოდებოდნენ საერთაშორისო ასპარეზზე.**

2012 წელს ძლივს ჩამოვაშორეთ ხელისუფლებას და ისევ ატყდა განგაში — ხელი არ ახლოთ, დემოკრატიულ ღირებულებებს პატივი ეცით, თორემ თქვენი მკვეთრი ნაბიჯები პოლიტიკურ დევნად შეფასდება და ქვეყნის მიღწევები დემოკრატიის მიმართულებით ეჭვქვეშ დადგებაო.

ასე გრძელდება დღემდე და **საქართველო ორ აქლემს შუა მოქცეული კოზაკივით იჭყლიტება, ჩვენი მხსნელი და მშველელი კი არავინ ჩანს.**

**ამ ორი აქლემიდან ერთს დემოკრატია ჰქვია, რომელიც წარმატებით აზღვევს ქვეყნის ამაოხრებელ მეორე აქლემს „ნაცმოძრაობას“ და მის კრიმინალურ რეჟიმს და ხელშეუხებლობის იმუნიტეტს აკრავს ცოდვებით გატენილ მახინჯ კუზზე.**

დღემდე პასუხგაუცემელი რჩება საბედისწერო და სახამუშო კითხვა: რატომ ჰყავთ ამდენი გავლენიანი მფარველი და ამდენი ლობისტი პოლიტიკოსებად წოდებულ კრიმინალურ ელემენტებს დასავლეთში? რას ემყარება ეს ლოგიკურად აუხსნელი კავშირები, ეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები?

ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდება, როცა საგნებს და მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელის ნაცვლად სხვა სახელს ვარქმევთ, რომ ამით პრობლემა მივჩქმალოთ და სხვა შეფუთვით მივაწოდოთ ადამიანებს.

ქართული სახელმწიფოსთვის შეიძლება დიდი ტრაგედიით დამთავრდეს თუ თავისი ნამდვილი სახელი არ დაერქვა იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება და



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.




რასაც ოპოზიცია არჩევნების გაყალბებას უწოდებს, თუმცა არჩევნების გაყალბებაზე საუბარი მხოლოდ საბაბია, მიზეზია, სინამდვილეში კი ეს არის „ხავერდოვნად“, „მშვიდობიანად“ სახელმწიფო გადატრიალების და ძალაუფლების მიტაცების მცდელობა.

**ხელახალი არჩევნები, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის წინაპირობაა.**

●

გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ აშშ-ს ელჩს, შესანიშნავ დიპლომატს, საქართველოს გულწრფელ მეგობარს ქალბატონ **კელი დეგნანს**, ევროკავშირის ელჩს, ასევე ბრწყინვალე დიპლომატს და საქართველოს ნამდვილ გულშემატკივარს ბატონ **კარლ ჰარცელს**, აგრეთვე საქართველოში აკრედიტებულ დიპკორპუსის წარმომადგენლებს იმ პრინციპული და ობიექტური პოზიციის გამო, რასაც ისინი იჩენენ შექმნილი კრიზისული სიტუაციის განსამუხტავად.

ფაქტობრივად, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ჩვენი პარტნიორები დასავლეთიდან ერთხმად, ღიად და დაუფარავად იცავენ არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, არამედ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესებს. მათ როგორც ჩანს, გაცნობიერებული აქვთ, რომ დღეს, მოცემულ ურთულეს ვითარებაში ხელახალი არჩევნების ჩატარება ნიშნავს რუსეთის საბოლოო გაბატონებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რადგან ძალა, რომელიც ამ არჩევნების შედეგად მოვა, მთლიანად რუსეთის კონტროლს იქნება დაქვემდარებული.

ამ ძალამ ერთხელ უკვე დააკარგინა საქართველოს ტერიტორიების 20%-ი, რუსეთზე გაასხვისა თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი, ხელახალი არჩევნების შედეგად მოსული ძალა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ახალ ყარაბაღად იქცეს, რითაც საბოლოოდ განხორციელდეს კავკასიის მთელ რეგიონზე მოსკოვის კონტროლის დამყარების გეგმა.

ჩვენ, ქართველები, დავკარგავთ ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ თქვენც დაკარგავთ საქართველოს — თქვენს ბოლო ფორპოსტს კავკასიაში, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენ ვერ დავადგენთ და ვერ გამოვიძიებთ რა რჯის ზოგიერთ კონგრესმენს, ევროპარლამენტისა თუ ევროსაბჭოს ზოგიერთ წარმომადგენელს და რატომ ექომაგებიან ასე თავგამოდებით იმ ძალებს, რომლებსაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ძალები, სარგებლობენ რა კორონაპანდემიის გამო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში შექმნილი უკიდურესად მძიმე და საგანგაშო მდგომარეობით, გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან, რომ ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება, მიზნის მისაღწევად კი არჩევნების გაყალბების მათ მიერვე შეთხზულ ცრუ ლეგენდას იყენებენ.

რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს არის კარგად დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული და უხვად დაფინანსებული შეთქმულება საქართველოს და არა მარტო საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც აშკარაა, რომ ქვეყნის გარედან იმართება.

უფრო ზუსტად, ეს არის ძველი სპექტაკლის ახალი ვარიანტი „ვარდების რევოლუცია“ N2, სამხატვრო ხელმძღვანელი — თემურ ალასანია, დამდგმელი რეჟისორი — მიხეილ სააკაშვილი,

როგორი ვარდებისა იყო „ვარდების რევოლუცია“ N1 და რა გაგრძელება მოჰყვა მას, გემახსოვრებათ.

„ვარდების რევოლუცია“ N2 ეს იქნება რექვიემი საქართველოსთვის.

ამიტომაც: არავითარი რიგგარეშე არჩევნები, არავითარი კომპრომისი, არავითარი მობრძანდი-დაბრძანდი – შევლენ პარლამენტში? — კარგი! არ შევლენ — კიდევ უფრო კარგი!



# ძმები ბერძენიშვილების ბიზნესი

— „ვინც „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს, ის ავადმყოფია და ჩვენი საზოგადოების სამარცხვინო ნაწილია“, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

„ქართულ ოცნებას“ ამ არჩევნებში 950 000 ადამიანმა დაუჭირა მხარი.

დარწმუნებული ვართ, ამ 950 000 ადამიანმა ეს რომ მოისმინა, ეგრევე ეს სიტყვები ამოხდა — შენი დედაც, ლევან ბერძენიშვილო!

ბერძენიშვილმა, როცა 950 000 ადამიანს ავადმყოფად მოიხსენიებდა, ცხადია, წინასწარ იცოდა, ჯალათები დაუძახეს და „ქართულმა ოცნებამ“ დაასაჩუქრა უხვად, ახლა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ეძახიან ავადმყოფებს და „ნაცმოძრაობისგან“ მოელიან დიდ ჰონორარს, მათი საბრალო და საცოდავი დედა კი, ალბათ, საფლავში ტირის...

ადამიანი, თუ ის ნამდვილად ადამიანია და არა ადამიანის მსგავსი ორფეხა არსება, ცდილობს ისე იცხოვროს, რომ მისი ნამოქმედარის გამო დედა არ შეუგინოს ვინმემ. ძმები ბერძენიშვილები კი პირიქით აკეთებენ ყველაფერს.





რა ხურდასაც დაუბრუნებდა ეს 950 000 „ავადმყოფი“.

იცოდა და მაინც თქვა...

კი, მაგრამ, ასე როგორ უნდა გძულდეს საკუთარი დედა, რომ 950 000 ადამიანის საგინებლად გაიმეტო?

ისეთ რა სარგებელს გამოელი აქედან, იმდენი რა უნდა გადაგიხადონ, რომ დედა 950 000 ადამიანს მიუგდო საგინებლად?

უფროს ძმას არც უმცროსი ჩამორჩება — ისიც ისეთ რაღაცებს დააბრეხვებს ხოლმე, რომ ათასები და ათიათასები ხშირ-ხშირად უკითხავენ დედას.

მოკლედ რომ ვთქვათ, აწყობილი აქვთ ძმებს ბიზნესი, დედის ხარჯზე.

ჯერ იყო და გამსახურდიას მომხრეებს ეძახდნენ კრეტინებს და შევარდნაძისგან იღებდნენ მადლობებს, მერე შევარდნაძის მხარდამჭერებს უწოდებდნენ იდიოტებს და სააკაშვილი იხდიდა „მაღარიჩს“, დრო გავიდა, სააკაშვილის ფანებს

რას იზამ, ასეთია ამათი „ბიზნესი“ — ყოვლად სამარცხვინო, ამაზრზენი, არაადამიანური „ბიზნესი“.

რაც შეეხება ავადმყოფობას, გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ ლევან ბერძენიშვილი დაბადებიდან არის ავადმყოფი.

მის ფიზიონომიას რომ შეხედავს, ნებისმიერი საშუალო კვალიფიკაციის ექიმი, მყისვე დასვამს დიაგნოზს, რა ავადმყოფობაა ეს.

იყო დრო, პატივცემული ლევანი ერთ ჭამაზე ერთ გოჭს ჭამდა. რაღაც-რაღაცები ამოაჭრეს და ასე თუ ისე ნორმაზე მოიყვანეს, მაგრამ იმ მეორე ავადმყოფობას არაფერი შველის — როგორიც დაიბადები, ისეთივე მოკვდები.

ჩვენ ვიცით ამ ავადმყოფობის სახელი, მაგრამ არ ვიტყვით, ჯობს ლევან ბერძენიშვილმა ხშირ-ხშირად ჩაიხედოს სარკეში და თვითონვე მიხვდება, მისი სახით ვისთან აქვს საქმე.

# ბაიდენის გაპრეზიდენტება საქართველოსთვის შეიძლება მეტი სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს...

*გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:*

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ საქართველოში პომპეოს ვიზიტს?**

— კლასიკური დიპლომატიური პრაქტიკიდან გამომდინარე, მინდა გითხრათ, რომ პომპეოს ვიზიტი საქართველოში ძალიან უცნაური იყო. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, ხელისუფლების წარმომადგენლები როცა ამ ვიზიტს აფასებდნენ, თვალში საცემი იყო ერთი რამ: საქმეში ჩაუხედავ ადამიანს, რომელმაც არც იცის პომპეო ვინ არის ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს, ჩამოსული იყო არა წარმავალი მინისტრი, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის სულ რაღაც ორი თვე დარჩა, არამედ ახლადდანიშნული. გეგონებოდათ, ტრამპის კი არა, ბაიდენის მინისტრი ჩამოვიდა. გარდა ამისა, თავი იჩინა ჩვენი, ე.წ. ექსპერტების, რბილად რომ ვთქვა, ნაკლებად კომპეტენტურობამ. მათ თქვეს: კი პომპეო წარმავალია, მაგრამ მემკვიდრეობითობაა და ამიტომ ეს პიროვნება მნიშვნელოვანია, რადგან ბაიდენიც მის კურსს გააგრძელებსო. რაც შეეხება მემკვიდრეობითობას, შემდეგს მოგახსენებთ: ამერიკის ისტორიას თუ გადავხედავთ როდესაც კენედიმ ეიზენჰაუერისგან მემკვიდრეობით მიიღო ე.წ. კუბის დოსიე და მისი კურსი გააგრძელა, კიდევაც გადაჰყვა ამ კურსს. ერთი ვერსიით, მისი სიკვდილი სწორედ ამ თემასთან არის კავშირში. სხვა საკითხია ტრამპის შემთხვევა — მასთან მემკვიდრეობითობაზე ლაპარაკი ან სრული უვიცობაა ან, უბრალოდ, ქსენია დიასახლისებისთვის თვალში ნაცრის შეყრა. მან ამ მემკვიდრეობითობას, რომელიც რუზველტიდან დაწყებული ტრამპამდე არსებობდა, ბოლო მოუღო. ძირითად საკითხებში ამერიკის საგარეო პოლიტიკური ვექტორი არასდროს იცვლებოდა. იცვლებოდა მხოლოდ ტაქტიკური მიდგომები და არა ფასეულობები, ღირებულებები და ა.შ. მაგრამ ტრამპმა ეს ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მან განა გააგრძელა ობამას კურსი? სად აისახა ეს? — ჩინეთთან ურთიერთობაში, ირანთან ბირთვული რაკეტების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ნატოსთან, ევროპასთან კავშირში თუ სად? ამიტომ, მემკვიდრეობითობაზე ტრამპის ადმინისტრაციასთან ლაპარაკი, წარმოუდგენელია იმიტომ, რომ მან არავითარი მემკვიდრეობითობა არ აღიარა. პირიქით, ტრამპმა ამერიკის ნახევარსაუკუნოვან ფასეულობებსა და ღირებულებებსაც კი, საერთაშორისო ჭრილში, საძირკველი გამოაცალა. ჰარი ტრუმენიდან მოყოლებული ნატო ყველა ამერიკელი პრეზიდენტისთვის, საბჭოთა კავშირის დროსაც და მის მერეც, ევროპასთან ურთიერთობის, თავისუფლების, დემოკრატიის დაცვის ქვაკუთხედი იყო. ტრამპი გამოვიდა და პირდაპირ თქვა: ეს, უკვე, მოძველდა და შეგვიძლია გავაუქმოთო. ამიტომ, პომპეოს ვიზიტის არსი მე, ვერ გავიგე. ისრაელში მისი ვიზიტი გასაგებია — ნათანიაჰუმ მას მერე რაც ტრამპი დამარცხდა მშვიდი ძილი დაკარგა, ვინაიდან ერთადერთი სახელმწიფო ამერიკის გარდა, თუკი ვინმეს შეეძლო ტრამპის იმედი ჰქონოდა, ეს ისრაელი იყო. მან ყველაფერი გააკეთა: სცნო დასავლეთ სანაპირო, დედაქალაქი იერუსალიმში გადაიტანა, პალესტინის ადმინისტრაციას დახმარება შეუმცირა. ამიტომ, პომპეოს ვიზიტი ისრაელში, ამ მხრივ, გამართლებულია. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ როგორც კი ბაიდენის გამარჯვება ცნობილი გახდა, ნახევარმა ევროპამ მაშინვე მიულოცა. წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან შვიდი საათის შემდეგ, ბაიდენს სალომე ზურაბიშვილმაც მიულოცა. ზოგი ელოდება როდის აღიარებს ტრამპი დამარცხებას. ეს არასდროს მოხდება. ტრამპი პოსტს ისე დატოვებს, არ იტყვის დავმარცხდიო. ოპოზიციასთან მოლაპარაკებას ამერიკის ელჩი პომპეოს ჩამოსვლამდეც აწარმოებდა და მისი წასვლის შემდეგაც, ამ მხრივ, რადიკალურად არაფერი შეცვლილა. საქართველოსთვის ეს ვიზიტი არც შენაძენია და არც დანაკარგი. უბრალოდ, პიარის თვალსაზრისითაა კარგი, რომ საქართველო ისევ მოსჩანს რაღაც ორბიტაზე, თუმცა ის მოსაზრება, თითქოს, ამით რაიმე შეიცვლება, მცდარია. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობდა: მეტი ამერიკა საქართველოში, მეტი ჩართულობაო. ვიღაცას კიდეც მოუვიდა მადა — უკვე ამერიკის ბაზებიც დაითვალა და მას ადგილიც კი შეურჩია თუ სად უნდა განლაგდეს. ეს ჩვენი ქართული ფოლკლორია, ასე ჩავთვალოთ.







**— ახლა, ამერიკის ბაზები ახსენეთ. რა ხანია ქართულ მიწაზე რუსის ჯარი დგას და ახლა, აყენებენ ამერიკულ ბაზებს? სულ ასე პოსტ-ფაქტუმ რატომ ჩნდებიან?**

— მერე, რა იცვლება მაგათი გამოჩენით — რუსის ჯარი მათ დანახვაზე უკანმოუხედავათ გარბის თუ რა?! პირიქით, ყოველი ასეთი ვიზიტის მერე, რუსის ჯარი ჩვენს მიწაზე უფრო მაგრად დგება და რუსეთის პოლიტიკას ამკვეთრებს. პომპეო ადრეც ხომ იყო საქართველოში. კარგად მახსოვს, სწორედ მისი ვიზიტის შემდეგ დაიწყო ე.წ. ბორდერიზაცია და ადამიანთა გატაცებებიც უფრო გახშირდა. მოსკოვს ასეთ ვიზიტებზე, ყოველთვის, თავისი პასუხი აქვს და საბოლოო ჯამში, ჩვენ ვიჭყლიტებით.

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთმა ამერიკას კავკასია „აცალა“?**

— არა, არა. კავკასიის „აცალა“, ეს ნაადრევი და გადაჭარბებული მოსაზრებაა. კავკასიაში რუსეთი ისედაც იყო. თუ ვინმეს სომხეთი აქვს მხედველობაში, რამდენი ხანია გიუმრიში ისედაც მთელი არმია დგას და მასთან სამხედრო ხელშეკრულება აქვთ დადებული. მოკლევადიან პერსპექტივაში ეს შთამბეჭდავია — რუსეთის მშვიდობისმყოფები იქ, ხუთი წლით შევიდნენ. ჩვენ ვიცით, რომ შემოსვლით ადვილად შემოდიან, მაგრამ გასვლით ძალიან ძნელად. მე არ მგონია, აზერბაიჯანი და თურქეთი აღფრთოვანებული იყოს იმით, რომ ეს ხუთი წელი კიდევ გახანგრძლივდეს. ასე არ ვუყურებ. მაგრამ საბოლოო ჯამში, სტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთმა სომხეთი საქართველოსავით დაკარგა. იმიტომ, რომ სომხები რუსეთისგან აქტიურ დახმარებას ელოდნენ. მათ, თავიანთი გადასახედიდან, ამის საფუძველიც ჰქონდათ იმიტომ, რომ პრაქტიკულად, სომხეთი დიდი ხანია რუსეთს ჩაბარდა. ამ დროს რუსეთმა თქვა: ოდეკაბეს ხელშეკრულების თანახმად, დაგეხმარები მაშინ თუ აზერბაიჯანი თავს დაგესხმებაო. ამავე დროს, არ გამოვრიცხავ, რომ მოსკოვმა ბაქოც გააფრთხილა: არ გაბედო, ამ ტერიტორიას თავს არ დაესხა. ტერიტორია რომელსაც გაერო ცნობს, მთელი მსოფლიო შენს საკუთრებად აღიარებს, კი ბატონო, ის დაიკავე, მაგრამ სომხეთს თუ შეეხები, იძულებული ვიქნები ჩავერიოო. თუმცა, ალიევი ჭკვიანურად მოიქცა. როგორ არ ეცადა ფაშინიანი, გაიძახოდა: სომხეთის ტერიტორიას ბომბავენ, შემოიჭრნენო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არავინ იცის როგორი იქნება ფაშინიანის ბედი. თვით სომხეთის პრეზიდენტიც კი უკვე დაბეჯითებით მოითხოვს ფაშინიანის გადადგომას რომ აღარაფერი ვთქვათ ოპოზიციაზე და სამხედროებზე. გარდა ამისა, რუსეთი მარტო არ არის. თუ აცლაზეა ლაპარაკი, კავკასიაში თავისი პოზიციები თურქეთმა უფრო გაიმყარა.



**— ამერიკის არჩევნები ვახსენეთ. ტრამპის მომხრეების აზრით, ბაიდენის მოსვლით სულ სხვა ეპოქა იწყება. ასეა? ჩვენთვის როგორი იქნება ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდი?**

— მე, მგონია, რომ საქართველოსთვის ბაიდენი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ტრამპი. თუნდაც იმიტომ, რომ ბაიდენისთვის როგორც საკუთარი შვილი, ისეა უკრაინა. ობამას დროს, ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში, უკრაინის მიმართულება ბაიდენს ჰქონდა ჩაბარებული. ამიტომაც იყო, რომ ტრამპი ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ როგორმე ბაიდენი კორუფციაში ჩაეთრია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამიტომ, ბაიდენი თუ უკრაინისადმი მეტ ყურადღებას გამოიჩენს, ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება. ჩვენ, უკრაინასთან ერთად, ნატოში გაწევრიანების პოტენციური კანდიდატები ვართ. ბაიდენს 20 ნოემბერს 78 წელი შეუსრულდა. იგი, ალბათ, ერთი ვადით იქნება პრეზიდენტი და ბევრი რამის შეცვლას ვერ მოასწრებს, მაგრამ ერთი რამ გავითვალისწინოთ: ამერიკის კონსტიტუცია პრეზიდენტს საგარეო პოლიტიკაში ხელ-ფეხს უხსნის. საშინაო პოლიტიკაში ამერიკის მამები, მართლაც, ნახევარღმერთები იყვნენ. მათ პრეზიდენტს საშინაო პოლიტიკაში, კონგრესისა და დამოუკიდებელი სასამართლოების სახით, ხელ-ფეხზე კარგი, საიმედო ხუნდები დაადეს. ხომ ხედავთ, ახლა, რა ხდება. თვით „რესპუბლიკელი“ მოსამართლეებიც კი ერთი მეორეზე მიყოლებით უარს ეუბნებიან ტრამპს საჩივრებზე. აი, ეს არის დამოუკიდებელი სასამართლო. ტრამპი — პრეზიდენტი ჩივის არჩევნები გამიყალბესო. ეს ფაქტი, შეიძლება, გინესის

6 გვ. →

# რანაირად მოხდა, რანაირად დავუშვით, რომ ესენი, ეს უსირცხვილოები, ოდესღაც ხელისუფლებაში მოვიყვანეთ?

## ამათ ქვეყანა ააოხრეს, ოჯახები გააუბედურეს, ტერიტორიები გაყიდეს, გორის ქუჩები ცხვირებით გადახნეს, ჰალსტუხები ღეჭეს და მათ ნაცვლად სირცხვილის კორიდორებში ჩვენ უნდა ვიაროთ?

2020 წელი. 21 ნოემბერი. საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური.

გათენდა, ცეცხლის მზე აენთო კი არა და... ცოტა ცივა, ცრიატი დღეა, "ნაციონალების" შესაფერისი, მაგათ უყვართ ასეთი უჟმური დღეები აქციების გასამართად, ქუჩებში საჭენაოდ.

მათი ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამინდელი ბელადი მიხეილ სააკაშვილი ისევ კიევშია, ამჯერადაც ვერ ჩამოვიდა. თავის მომხრეებს მოუწოდებს, ხელები გაანძრიეთ და ჩამოვალო. საქართველოდან უთვლიან, ვანძრევთ, მეტი აღარ შეგვიძლიაო. ის მაინც ჯიუტობს, კარგად ვერ ანძრევთ, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება დაამხეთო. ესენიც ჯიუტობენ, ვერ ვამხობთო. თუ ვერ ამხობთ, მაშინ სუსის აგენტები ხართო.

ე.წ. ოპოზიციის კანდიდატებმა გამოაცხადეს, მეორე ტურში არ ვმონაწილეობთ, გაბრაზებულები ვართ, "ქართულმა ოცნებამ" არჩევნები გაგვიყალბაო. ტყუილია, არჩევნების გაყალბება ამათი მოგონილია, თვითონ გააყალბეს, თუმცა "ნაცმოძრაობამ" 27%-ზე მეტი ვერ გაქაჩა. დანარჩენებმა თითო-ოროლა პროცენტი მიიღეს. ჩვენი საარჩევნო კანონის თანახმად, მეორე ტურში კანდიდატურის მოხსნა დაუშვებელია, რომც მოკვდე, ბიულეტენში მაინც ჩაგწერენ. ჩემი აზრით, ეს ძაან მაზალოობაა, ამ მხრივაც რამე ახალია მოსაფიქრებელი.

•

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ე.წ. ოპოზიცია დაგვემუქრა, უბნებზე "სირცხვილის კორიდორებს" მოგიწყობთო. ერთ ხანობას ვიცინე, მაგრამ მეორე ხანობას მაგრად გავბრაზდი.

ესე იგი, რა გამოდის, ბოზებმა ჩვენ უნდა მოგვიწყონ სირცხვილის კორიდორი?

და რა... ისევ ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს?

რატომ?

ჩვენ ხომ პატიმრები არ გვიწამებია, უკანალში ცოცხები ხომ არავისთვის გვიკეთებია?!

ჩვენ ხომ არც სანდრო გირგვლიანი მოგვიკლავს და არც ბუტა რობაქიძე?!

ჩვენ ხომ არც ქონება წაგვირთმევია ვინმესთვის და არც არავინ გაგვიუპატიურებია?!

უკაცრავად... კარგად მახსოვს, ჩვენ 50 მილიონი არ წაგვილია ბიუჯეტიდან... არც ცოლთა ტრაკ-დუნდულები ჩამოგვითლია ბიუჯეტის ხარჯზე!

იქნებ ორი გვამი მოვითხოვეთ? არა!

იქნებ ორი გვამი შემოვდეთ მაღაზიის თავზე? არა!

იქნებ "იმედში" შევცვივდით, ყველაფერი დავლეწეთ, გავანადგურეთ, ბადრი პატარკაციშვილი მოვკალით და აღარ გვახსოვს? არა, ღმერთმანი, არა!

იქნებ მშვიდობიანი აქცია დავარბიეთ 2007 წლის 7 ნოემბერს და რუსთაველი მოვრწყეთ სისხლით? არა-მეთქი!

იქნებ მაშინ ვერ გავძეხით სისხლით და 2011 წლის 26 მაისს იგივე გავიმეორეთ? ო, არა!

იქნებ 2008 წლის აგვისტოს





არ გადავეცით რუსებს? ვერ ვიხსენებ!

გარეჯი? ოჰ, როგორ გეკადრებათ!

რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

და... ვერ გავიგე, ვინ გვიწყობს სირცხვილის კორიდორს?

მოღალატეები გვიწყობენ?!

და... ჩვენ ამას როდისმე მო-

ლევანა ვარშალომიძისა და ნიკანორა მელიას კორიდორი არ გაიშვა!

ვერ გაბედეს, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ლამის იარაღი აიღო ხელში. ამ ცუცურაკებმა ეგრევე "დაზადნეს", სუსს გადააბრალეს, პროვოკაციებს გვიმზადებენ, უნდა მოვერიდოთო. სუსი

## მეორე ტურში გამარჯვებული კანდიდატები

| | | |
|---|---|---|
| მთაწმინდა, კრწანისი | – | 41. ბექა ოდიშარია; |
| ვაკე | – | 41. ნოდარ ტურძელაძე; |
| საბურთალო | – | 41. დავით სერგეენკო; |
| ისანი | – | 41. კახა კახიშვილი; |
| სამგორი | – | 41. სოზარ სუბარი; |
| დიდუბე, ჩუღურეთი | – | 41. გიორგი ვოლსკი; |
| ნაძალადევი | – | 41. მიხეილ ყაველაშვილი; |
| გლდანი | – | 41. ლევან კობიაშვილი; |
| თელავი, ახმეტა, ყვარელი და ლაგოდეხი | – | 41. ირაკლი ქადაგიშვილი; |
| მცხეთა, დუშეთი, თიანეთი და ყაზბეგი | – | 41. შალვა კერესელიძე; |
| რუსთავი, გარდაბანი | – | 41. ნინო ლაცაბიძე; |
| ხაშური, ქარელი | – | 41. ზაალ დუგლაძე; |
| ზესტაფონი, ტყიბული, თერჯოლა, ბაღდათი | – | 41. ბეჟან წაქაძე; |
| ქუთაისი | – | 41 ზაზა ლომინაძე; |
| ზუგდიდი | – | 41. ირაკლი ჩიქოვანი; |
| ბათუმი | – | 41. რესან კონცელიძე; |
| ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო | – | 41. ანზორ ბოლქვაძე. |

ამბებში ურევია ჩვენი ხელი? არა მგონია!

იქნებ კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დავარქვით და რუსებს ჩავაბარეთ? ჩვენ მაგაზე არასდროს გვიფიქრია!

ახალგორი? არა!

სტრატეგიული ობიექტები ხომ ვითმენთ? ამ გაქსუებულ ვირთხებს დედებს არ ვუტირებთ?!

ჰმ... ამათ ქვეყანა ააოხრეს, ოჯახები გააუბედურეს, ტერიტორიები გაყიდეს, გორის ქუჩები ცხვირებით გადახნეს, ჰალსტუხები ღეჭეს და ისევ ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს?!

არაფერ შუაშია, განრისხებული ხალხისა შეეშინდათ, არ ისეთი მაგრები არიან, როგორც იჭიმებიან. კრიტიკულ მომენტებში ბელადსა ჰგვანან, ხან რომ იფსამს, ხან მიწაზე ხოხიალობს, ხან კიდევ ჰალსტუხსა (ყლინჯს) ღეჭავს.

### ლირიკული გადახვევა

არჩევნების წინა დღეს "ნაციონალურმა მოძრაობამ" რეტიან ლევან ხაბეიშვილის ენით განაცხადა, ვინც შაბათს არჩევნებზე მივა და ხმას მისცემს "ქართული ოცნების" კანდიდატს, ის აიღებს პასუხისმგებლობას საქართველოში დამყარებული დიქტატურის გამყარებაზეო.

დიახ!

მე ვიყავი არჩევნებზე, ხმა მივეცი "ქართული ოცნების" კანდიდატს, ავიღე პასუხისმგებლობა და გავამყარე საქართველოში უკვე დამყარებული დიქტატურა. ამის შემდეგ, როცა სიტუაცია დარეგულირდება, ვიწყებ ქვეყნის გასაბჭოებას და სრულ კოლექტივიზაციას. მეტიც, ამას რომ მოვრჩები, გავამყარებ პროლეტარიატის დიქტატურას და გამოვცემ გაზეთ "პრავდას". თუმცა არა, როგორც მეგობრებმა მირჩიეს, ჯერ გამოვცემ გაზეთ "ისკრას".

"ნაცმოძრაობის" განცხადებამდე თავისი აზრი გამოთქვა დიდმა ქართველმა შალიკო ნათელაშვილმა, ვინც არჩევნებზე მივა, ის ტყვიას ესვრის ილია ჭავჭავაძესო!

დიახ, მე მიველი და საარჩევნო უბანზევე ვესროლე ილია ჭავჭავაძეს, პირდაპირ შუბლში დავახალე. მან მითხრა, არ მესროლო, ილია ვარო, მაგრამ იქით შევჰყვირე, ილია რომ ხარ, ამიტომ უნდა გესროლო და შემდეგ ხმა უნდა მივცე მიხეილ ყაველაშვილს-მეთქი. რა თქმა უნდა, ამას არ დავჯერდი, საარჩევნო უბნიდან რომ გამოვედი, ვესროლე ვაჟა-ფშაველას, იაკობ

6 გვ. →











# ბაიდენის გაპრეზიდენტება საქართველოსთვის შეიძლება მეტი სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს...

4 გვ.

რეკორდებში შევიდეს. ჩვენთან, ოპოზიცია ჩივის, ხოლო ამერიკაში — პრეზიდენტი. ეს სასაცილოა. პრეზიდენტი რომელიც მსოფლიოში უძლიერესი ადამიანი, ნომერ პირველი პოლიტიკოსია ჩივის: არჩევნები გამიყალბესო. ჯორჯიის შტატში, პენსილვანიაში ტრამპის მიერ დანიშნული მოსამართლეები არიან და სწორედ ისინი ეუბნებიან მას უარს სარჩელზე. ეს იგივეა მურუსიძემ „ქართულ ოცნებას“ რომ უთხრას უარი სარჩელზე.

ამერიკაში იზოლაციონიზმი ძალიან ძლიერი იყო. რუზველტმა ამას ბოლო მოუღო. ტრამპმა ხელახლა ააღორძინა. ამიტომაც მიიღო ტრამპმა 70 მილიონი ხმა. არცერთ დამარცხებულ პრეზიდენტს, ამერიკის ისტორიაში, ამდენი ხმა




არ მიუღია. ბაიდენმა 74 მილიონზე მეტი ხმა მიიღო. ასევე, არცერთ გამარჯვებულ პრეზიდენტს ამდენი ხმა არ მიუღია. ამიტომ, ეს არჩევნები ამერიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამ ყველა პრეზიდენტებიდან ტრამპი, საერთოდ, ამოვარდნილია. მისთვის უცხოა ამერიკის ფასეულობები, ღირებულებები, რაზეც ამერიკის მამებმა — ჯეფერსონმა, გრანტმა, ადამსმა, ვაშინგტონმა და სხვებმა ამერიკა დააფუძნეს, ეს ტრამპისთვის არ არსებობს. მე, დარწმუნებული ვარ, რომ ტრამპს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და მგონი, არც ამერიკის კონსტიტუცია წაკითხულიც არ აქვს. ტრამპი, რაღაც, უცნაური გამონაკლისი იყო. შემთხვევითი არც ის არის, რომ ამერიკაში ტრამპის მომხრეები უმაღლესი განათლების არმქონე ამომრჩევლები არიან. უხეშად რომ ვთქვა, გაუნათლებელი ხალხი, სოფლის მოსახლეობა. ტრამპმა 2016 წელსაც და ახლაც ყველა დიდი ქალაქი წააგო. იგი, იგებს მხოლოდ პროვინციებში, ბნელ ხალხში, ვინც გაიძახის: ამერიკა უპირველეს ყოვლისა და იგივე, შეიარაღებულ ხალხში. ამიტომ თუ ადამიანურობაზეა ლაპარაკი, აქ ტრამპს არაფერი ეთქმის. ეს იყო პრეზიდენტი, რომელიც ოთხი წელი „ტვიტერით“ მართავდა ქვეყანას. მე, საერთოდ, არ ვიცი როგორ შეიძლება ჩვენთან ვინმე ტრამპის მომხრე იყოს. ეს, სრულებით ვერ წარმომიდგენია იმიტომ, რომ ბოდიში მომითხოვია და ტრამპს სულ ფეხებზე ჰკიდია ყველა ქვეყანა, ხალხი, გარდა ამერიკისა.

**— საქართველოში დავბრუნდეთ. ოპოზიციასთან მიდის მოლაპარაკებები პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით, თუმცა ეს უკანასკნელი არც ამერიკის მოსაზრებას უწევს ანგარიშს. რა გამოსავალს ხედავთ?**

— რა არის იცი, ოპოზიციის გადმოსახედიდან ასეა: მათ სათავისოდ ჭკუა ყოფნით და იციან, რომ ერთადერთი გაუჭრელი კოზირის კარტი, რომელიც ხელში უჭირავთ, ეს არის სრული ბოიკოტი. ანუ, ერთპარტიული პარლამენტის დაფიქსირება, რაც საქართველოში არასდროს ყოფილა. ეს მშვენივრად იციან, იგივე, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა. დიახ, მათ იციან, რომ ერთპარტიული პარლამენტი ევროპისთვის მიუღებელია. რა არგუმენტიც არ უნდა გამოძებნოს კობახიძემ და სხვა ლიდერებმა, ევროპელები ერთპარტიულ პარლამენტს გულთან ახლოს ვერ მიიტანენ. ასეთი რამ არასდროს ყოფილა ცივილიზებული ევროპის ისტორიაში. თურქმენეთი ან ჩრდილოეთ-კორეა ხომ არ ვართ? სხვათა შორის, ჩინეთის პარლამენტში 30-მდე პარტიაა. მართალია, რიგ წვრილ-წვრილ პარტიებს არავინ არაფერს ეკითხება, მაგრამ ასეა. საქართველოში ერთპარტიული პარლამენტის არსებობა, წარმოუდგენელია. გარდა ამისა, მართლა დიდი მოხერხება სჭირდებოდა იმას, რომ თვით, „პატრიოტთა ალიანსიც“ კი არ შედის პარლამენტში. „პატრიოტთა ალიანსს“ არ აპატიეს ის, რომ ისინი მმართველ პარტიას კრიტიკას არ აკლებდნენ. „ქართულ ოცნებაში“ არიან ჭკვიანი ადამიანები. მე, ვიცი რომ ირაკლი ვოლსკი ჭკვიანი ადამიანია, თუმცა, ამავდროულად, იგი პოლიტიკოსია და იცის, რომ დინების წინააღმდეგ ცურვა არ შეიძლება. „ქართულ ოცნებაში“ კი ასეთი დინებაა — დღეს, „პარადი“ კობახიძეს და კიდევ ერთ მანდილოსან მიჰყავს, გვარს არ დავასახელებ, კი იცი, ვისაც ვგულისხმობ, რომელიც სხვათა შორის, თავის დროზე, ჩემი ძალიან კარგი სტუდენტი იყო.

**— ბატონო სოსო, ფინალი რა იქნება — ხელახალი არჩევნები?**

— ეს ყველაფერი თმენის უნარზე და პრინციპულობაზეა დამოკიდებული. საკმარისია, ოპოზიციიდან ვინმე პარლამენტში შევიდეს და მორჩა, დამთავრდა, ის უკვე მარგინალი იქნება და თავის პოლიტიკურ მომავალს ჯვარს დაუსვამს. მაგრამ „ქართული ოცნებისთვის“ ეს მაშველი რგოლი იქნება. ჯერჯერობით, რაღაც პრინციპულობას ინარჩუნებენ. მათი გადმოსახედიდან ასეა: ეს ოპოზიციისთვის ერთადერთი ხსნაა, ასე შეიძლება ხელისუფლება აიძულონ ერთი წლის შემდეგ რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს, მაგრამ ეს ქვეყანას რას მოუტანს, ცალკე საკითხია.

**თამარ შველიძე**
551 71 27 07





# რანაირად დავუშვით, რომ ესენი, ეს უსირცხვილოები, ოდესღაც ხელისუფლებაში მოვიყვანეთ?

5 გვ.

გოგებაშვილს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს... მეტროსთან მთვრალი გალაკტიონი გადამეყარა და ერთი მაგრად დავბეგვე. მიხა ცხაკაიამ გვერდით ჩამიარა, თითქმის კისერში ვწვდი, მაგრამ უცებ სადღაც გაშპა. ვეძებ. ყველა უნდა დავხოცო, ვერავინ გადამირჩება. გაუმარჯოს დიქტატურას, ძირს დემოკრატია!

ტაში, კუკური!

ვაი, თქვენს პატრონს!

●

21 ნოემბერი ძალიან მშვიდი გამოდგა. თქვენი არ ვიცი და... მე აშკარად ვიგრძენი, ცხოვრება მშვენიერი ყოფილა "ნაციონალებისა" და მათი ნარჩენების გარეშე. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, "ქართული ოცნების" ყველა კანდიდატმა უპრობლემოდ მოიგო და



პარლამენტში 90 მანდატი გაინაღდა. ეს კი სრულიად საკმარისია მთავრობის დაკომპლექტებისთვისაც და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისთვისაც.

თუმცა!

საღამოს მიხა სააკაშვილის ტელეუბორნიებმა მაინც გააჩაღეს ე.წ. პროპაგანდა, თითქოს "ქართულმა ოცნებამ" ისევ გააყალბა, ქვეყანა საბჭოთა კავშირს დაამსგავსა და პარლამენტშიც პოლიტბიურო შეიკრიბება.

გაცოფდნენ, ეს ჩემის თვრამეტიანები!

დებილმა გია ბარამიძემ, უცხოელ პარტნიორებს სულაც არ აინტერესებთ, საქართველოს ხელისუფლებაში ვინ იქნებაო? ამაზე კომენტარის გაკეთებაც კი სირცხვილია, მე მხოლოდ ის მიკვირს, რანაირად მოხდა, რანაირად დავუშვით, რომ ესენი, ეს უსირცხვილოები, ოდესღაც ხელისუფლებაში მოვიყვანეთ?!

კაკო ბობოხიძემ, ამ ტლუ მაიმუნმა, გაუგონარი სიბინძურე გადმოღვარა პირიდან, თქვენ ნუ გგონიათ, რომაო, რაც 1991–1992 წლებში მოხდა, ის აღარ განმეორდებაო. ინგა გრიგოლია ჩაეძია, რას გულისხმობ, სამოქალაქო ომსაო? ნუ, რა ვიცი, ყველაფერს ვგულისხმობო. თან დაამატა, მე უკვე დავიღალე, ასაკში შევედი, მაგას მომავალი თაობა, ანუ ახალგაზრდობა იზამსო.

გაიგონეთ?!

ამ დამპალ "მხედრიონელს" ისევ სისხლი სწყურია. კახეთის ამაოხრებელ გელა გოდერძიშვილის სიძეს არ ეყო, ვერ გაძლა, თვითონ ტრაკი აღარ აქვს და ახალგაზრდებს აქეზებს. ამ ტიპზე მომდევნო ნომერში ცალკე დავწერ, ცალკე ჩავდებ თავისსავე გათხრილ სამარეში.

ყველაზე მაგარი მაინც ნანუკა ჟორჟოლიანის თეზისები აღმოჩნდა: "ქვეყანა დაემგვანა საბჭოთა კავშირს, ეკონომიკას ენძრევა, ეპიდემია გაანადგურებს ხალხს, პარლამენტი კანონებს ვერ მიიღებს, მთავრობა კრიზისში ჩავარდება, ერთმანეთს დაერევიან, საზღვარგარეთი ზურგს აქცევს და ჩვენ უნდა ვიყიდოთ, მოვიმარაგოთ პოპკორნი და დაველოდოთ როდის დაინგრევა ყველაფერი, ამის შემდეგ უბრძოლველადაც ავიღებთ ძალაუფლებას".

თუ ქვეყანა აღიგვება, თოვლი იქნება, ქარი ამოვარდება, ეკონომიკას დაენძრევა, ეპიდემია ხალხს გაანადგურებს, ფაშისტური გერმანია თავს დაგვესხმება და ყველაფერი დაინგრევა, ამ ქაჯს რა უხარია?!

ჩვენი პასუხი ასეთია: ბებიაშენის წაბლა პროჭმა!!!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ზამთარი ჩვენი მღელვარებისა

„კოვიდ-19“-მა, რომელიც ზუსტად ერთი წელია ბობოქრობს დედამიწაზე, თავისი დღის წესრიგი დაამყარა. „დიდი ოცეულის“ ქვეყნების მეთაურთა შეხვედრის მასპინძლობა დიდი პატივია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. წლევანდელი სამიტი საუდის არაბეთში უნდა გამართულიყო. ქვეყნის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდათ სამიტის პომპეზურად გამართვა. მათი მიზანი იყო სტუმრებისთვის ეჩვენებინათ საუდის არაბეთის მიღწევები. G-20 ოქტომბრის დასაწყისში უნდა გამართულიყო, მაგრამ პანდემიის გამო გადაიტანეს, იმის იმედით ვირუსის გავრცელება შენელდებოდა. სამიტი, მართალია გაიმართა, მაგრამ დისტანციურად. ქვეყნის მეთაურები ვიდეოჩართვის საშუალებით საუბრობდნენ. ძირითადი განსახილველი თემები ვირუსთან ბრძოლა, სამყაროში კლიმატური ცვლილებები და ეკოლოგია გახლდათ.

სამიტის მონაწილეებმა ძირითადი ყურადღება „კოვიდ-19“-თან ბრძოლას დაუთმეს. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მონაწილეებს მოუწოდა დაეხმარნენ განვითარებად ქვეყნებს ვაქცინის



შეძენაში. ამისთვის, უხეში გათვლებით 5 მილიარდი დოლარია საჭირო. თავის მხრივ, მერკელი დაპირდა, რომ გერმანია 500 მილიონს გაიღებს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა შესთავაზა საკუთარ ქვეყანაში წარმოებული ვაქცინა „სპუტნიკ-ვ“ უსასყიდლოდ ეკონომიკურად გაჭირვებულ ქვეყნებს. საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის განცხადებით, მსოფლიოში დღეს არსებული სამედიცინო მომსახურება უკვე არაეფექტურია და რეფორმებს საჭიროებს. პოლიტიკურმა საკითხებმა წლევანდელ სამიტზე უკანა პლანზე გადაინაცვლა. მიზეზად ექსპერტებს შეხვედრის დისტანციურად გამართვა მიაჩნიათ. მათი შეფასებით, ქვეყნის ლიდერების კულუარებში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ყურადღება საკუთარი ქვეყნის და საერთოდ მსოფლიოს ეკონომიკაზე გაამახვილა. პირისპირ შეხვედრების გარეშე სამიტი არაეფექტურად ჩატარდა. ასევე დისტანციურ რეჟიმში გაიმართა გასულ კვირას აზია — წყნარი ოკეანის ქვეყნების სამიტიც, რომელსაც უცხოურმა პრესამ ნაკლები ყურადღება დაუთმო, რადგან ქვეყნების მეთაურები ძირითადად ზოგად საკითხებზე საუბრობდნენ.

სავარაუდოდ, დისტანციურად გაიმართება „დიდი შვიდეულის“ შეხვედრაც, რომელსაც აშშ-ი უმასპინძლებს. თუმცა, G –7-ის წლეულს ჩატარება სათუოა. დემოკრატიული პარტიის წევრები ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩაშალონ ღონისძიება. წლის ბოლომდე ერთ თვეზე ცოტა მეტი დროა დარჩენილი. თავად დონალდ ტრამპიც დიდად არ არის დაინტერესებული სამიტის გამართვით. იგი განაწყენებულია გერმანიის, კანადის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების ხელისუფლების პირველ პირებზე, რადგან მათ საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გამარჯვება მის კონკურენტს ჯო ბაიდენს მიულოცეს. გერმანია, საფრანგეთი, კანადა G –7-ის ძირითადი ბირთვია, ვისთან და რა საკითხებზე შეიძლება საერთო ენის გამონახვა გაბუტულ პოზიციაში გაუგებარია. ამიტომ, ტრამპი არ ჩქარობს სამიტის გამართვას.

საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ი სამი კვირის წინ დასრულდა, მაგრამ გამარჯვებულის ვინაობა ჯერაც უცნობია. ქვეყანაში, ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობაა. დემოკრატების კანდიდატი ჯო ბაიდენი თავს გამარჯვებულად მიიჩნევს, ითხოვს დროულად დაიწყოს ხელისუფლების გადაცემა. ამასთან ერთად ბაიდენმა ადმინისტრაციის ფორმირება დაიწყო. უფრო მეტიც, ჯო ბაიდენი დონალდ ტრამპს სასამართლოში საჩივრის შეტანით დაემუქრა, თუ გააჭიანურებს ხელისუფლების გადაცემას. კანდიდატის განცხადებით, ტრამპის საქციელი აშშ-ის იმიჯს აზარალებს.

დამარცხებას არ აღიარებს დონალდ ტრამპი და აგრძელებს საქმიანობას. თანამდებობიდან გაანთავისუფლა თავდაცვის მდივანი მარკ ესპერი, რადგან არეულობების შესაჩერებლად შემოდგომაზე უარი უთხრა პრეზიდენტს ცალკეულ შტატებში ფედერალური ჯარების შეყვანაზე. გადააყენა ასევე კიბერუსაფრთხოების ხელმძღვანელი კრის კრეპსი, რომელიც ტრამპის თქმით უმოქმედოდ იყო, როდესაც სოციალური ქსელები მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ტრამპის გადაწყვეტილებით, წლის ბოლომდე შეამცირებს სამხედრო კონტიგენტს ავღანეთში და ერაყში.



აქტიურად საქმიანობენ მოქმედი პრეზიდენტის იურისტები. გასულ კვირას დონალდ ტრამპის პირადმა ადვოკატმა რუდი ჯულიანიმ კვლავ ისაუბრა არჩევნების გაყალბებაზე. მისი განცხადებით, 200-ზე მეტი მოწმე ჰყავთ, რომლებიც დაადასტურებენ არჩევნებზე მაქინაციებს. ჟურნალისტების ყურადღება მის სახეზე ჩამოღვენთილმა თმის საღებავმა მიიპყრო, რაც ქილიკის საბაბი გახდა. ტრამპის იურისტები ითხოვენ 700 ათასი ბიულეტენის გაუქმებას. პრეზიდენტის პოსტზე დავა უმაღლეს სასამართლოში გადაინაცვლებს. „... რატომ ჩქარობს ბაიდენი მინისტრთა კაბინეტის და ადმინისტრაციის ფორმირებას, მაშინ, როდესაც ჩემმა იურისტებმა არჩევნების გაყალბების ათასობით ფაქტი გამოავლინეს?“ განრისხებული აცხადებს დონალდ ტრამპი.

რესპუბლიკური პარტიის წევრები განვლილი არჩევნებით უკმაყოფილო არიან. სენატში გაიმართა „ტვიტერის“ და „ფეისბუკის“ მფლობელთა დისტანციური მოსმენა რესპუბლიკელი სენატორები მიიჩნევენ, რომ სოციალური ქსელები მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, ფაქტობრივად ცენზურა ჰქონდათ დაწესებული. სამსაათიანმა მოსმენამ დაადასტურა, რომ შეგნებულად იბლოკებოდა ტრამპის ინფორმაციები. ექსპერტების შეფასებით, სოციალური ქსელების მფლობელებს, დიდძალი, ფაქტობრივად მუქთი ფულის შოვნის შემდეგ სურთ ხელში აიღონ უსაზღვრო პოლიტიკური ძალაუფლებაც. ახალი პრეზიდენტის ვინაობას კონგრესი ოფიციალურად 6 იანვარს დაასახელებს. მანამდე ამომრჩეველთა საბჭომ უნდა დააფიქსიროს პოზიცია. თუმცა, მთავარ სიტყვას უმაღლესი სასამართლო იტყვის. ამასობაში აშშ-ის საზოგადოება კვლავ ორად გაყოფილია, გაერთიანების ნიშნები ჯერ არ ჩანს. ტრამპი კი აგრძელებს ბრძოლას თანამდებობის შესანარჩუნებლად.

მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდება მთიანი ყარაბაღის მოსახლეობა. ორი კვირაა არანაირი საბრძოლო მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, არც სროლის ხმა ისმის. დევნილები საკუთარ სახლებს უბრუნდებიან. ცეცხლის შეწყვეტის მიუხედავად, ერევანში კვლავ ითხოვენ სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ პაშინიანის გადადგომას. ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობის აზრს იზიარებს პრეზიდენტი არმენ სარქისიანი. გასულ კვირას მოუწოდა პაშინიანს დატოვოს თანამდებობა, დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, გარდამავალ პერიოდში დროებითმა მთავრობამ მართოს ქვეყანა. პაშინიანი გადადგომას არ აპირებს. გასულ კვირას, დაზავების შემდეგ პირველად გამოვიდა პარლამენტში, სადაც ვრცლად ისაუბრა განვლილი ომის პერიპეტიებზე. ამასთან, საკანონმდებლო ორგანოში წარადგინა 15 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 6 თვეში უნდა განახორციელოს მთავრობამ.



ერევნის ცენტრში შეკრებილები იყვნენ პაშინიანის მომხრე-მოწინააღმდეგეები. პრემიერმა სიტყვით მიმართა მოსახლეობას, მომხრეებს დაშლისკენ მოუწოდა, რასაც დაემორჩილა მოსახლეობა. საინტერესო ფაქტები გაასაჯაროვა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ქვეყნის ცენტრალურ ტელევიზიასთან ინტერვიუში. მთავარ მიღწევად პუტინი სისხლისღვრის შეჩერებას მიიჩნევს. მისივე თქმით, გარკვეულ ძალებს სურთ ომის გაგრძელება. პუტინს გაკვირვება არ დაუმალია, რომ მთიანი ყარაბაღის სტატუსი დღემდე ჰაერშია გამოკიდებული, ავტონომიის დამოუკიდებლობა სომხეთსაც არ ულიარებია. მისი თქმით, საერთაშორისო ნორმებით ყარაბღი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა და ქვეყნის განუყოფელი ნაწილია. რუსეთის პრეზიდენტმა გაიხსენა 19–20 ოქტომბრის მოლაპარაკების დეტალებით. მისი თქმით, მაშინ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ მხოლოდ დევნილების დაბრუნებას ითხოვდა. პაშინიანმა უარი უთხრა, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთო, ამიტომ სომხურმა მხარემ გაცილებით მეტი დაკარგა. თუმცა, ბრძოლები რომ გაგრძელებულიყო და ორი კვირის წინ ზავზე კვლავ უარი ეთქვა პაშინიანს, კატასტროფული შედეგი დადგებოდა. თურქეთის როლზე, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა აზერბაიჯანს, პუტინმა შეფასებისგან თავი შეიკავა.

ექსპერტების შეფასებით, პაშინიანმა დაუშვა სამხედრო პოლიტიკური შეცდომები, მაგრამ ყველა ცოდვის მასზე ჩამოკიდება უსამართლობა იქნება. ინფორმაციებს პაშინიანი თავდაცვის სამინისტროსგან, უშიშროების და სხვა უწყებებიდან იღებდა, რომლის მიხედვითაც მოქმედებდა. აზერბაიჯანს თურქეთიდან, ისრაელისგან უკვე ჰქონდა შეძენილი თანამედროვე ეფექტური სამხედრო ტექნიკა, რაც სომხეთს არ გააჩნდა. ამასთან, ბრძოლების დროს იარაღიც არ მიაწოდა ერევანმა ყარაბაღის მებრძოლებს.

მოულოდნელი აღმოჩნდა გასული კვირის ბოლოს რუსეთის გაფართოებული, წარმომადგენლობითი დელეგაციის სტუმრობა სომხეთსა და აზერბაიჯანში. იშვიათია, როდესაც რუსეთის თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრები ერთად მიდიან ვიზიტით. მათთან ერთად, დელეგაციის შემადგენლობაში 2 ვიცე-პრემიერი, ჯანდაცვის, საგანგებო სიტუაციების მინისტრები, რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმი იყვნენ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ცალ-ცალკე ესაუბრნენ პაშინიანს. დეტალები თავისთავად არ გასაჯაროვდა. პაშინიანმა რუსეთს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. ამის შემდეგ რუსეთის დელეგაცია ბაქოში ჩავიდა. იმავე თანამიმდევრობით შეხვდნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტს. ილჰამ ალიევის განცხადებით, მომხრეა და დიდი სურვილი აქვს მთიან ყარაბღში სომხების და აზერბაიჯანელების მშვიდობიანი თანაცხოვრების. მთიან ყარაბაღში რუსეთიდან უკვე ჩავიდა პირველი ჰუმანიტარული დახმარება. სამშვიდობო ძალებს შეუერთდნენ საგანგებო სიტუაციის სამინისტროს მაშველები... როგორც ჩანს, რუსეთი აფართოებს ამიერკავკასიაში გავლენას, რაც ჩვენთვის, საქართველოსთვის საყურადღებოა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# საქართველოს გაბრწყინების დრო კარზე მოგვადგა. თუ ამ დროს ხელიდან გავუშვებთ და ვერ გამოვიყენებთ, მეორედ ამის შანსი, შესაძლოა, აღარც მოგვეცეს

## ინტერვიუ ოთხგზის მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონთან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ბატონ რომან რურუასთან



**— ბატონო რომან, ყველა ვხედავთ, რა ხდება ჩვენს გარშემო, რა ხდება საქართველოში… თქვენი აზრით, ამ მდგომარეობაში „საქართველო გაბრწყინდება“?**

— საქართველოს გაბრწყინების დრო კარზე მოგვადგა. თუ ამ დროს ხელიდან გავუშვებთ და ვერ გამოვიყენებთ, მეორედ ამის შანსი, შესაძლოა, აღარც გვქონდეს. ჩვენს შანსს სხვა გამოიყენებს. ნებისმიერი ქვეყნისა და ერის წარმატების ორი ძირითადი პირობა არსებობს: პირველი — ერის ინტელექტი და მეორე — რომელიმე ბუნებრივი სიმდიდრე. აი, ზუსტად ამ ორი პირობიდან უნდა ვიპოვოთ გამოსავალი და თუ ეს არ გაგვაჩნია, მაშინ ან ნებით უნდა დავემორჩილოთ ვიღაცას, ან ძალით დაგვიმორჩილებს. მორჩილება დამონებას არ ნიშნავს, როცა ერის გადარჩენისთვის სხვა გზა არ რჩება, მორჩილება უნდა მიიღო. სამწუხაროდ, ასეთია მცირერიცხოვანი ერების ბედი.

ბევრჯერ მიფიქრია ცხოვრებაში პირადად ჩემი როლის შესახებ და ჩემს მიერ განვლილი გზა მაფიქრებინებს, რომ ბრწყინვალედ შევასრულე ჩემი მისია. ბევრი მიფიქრია ერის გადარჩენის გზებზე და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გზა ისევ გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა ვეძებოთ. გვინდა ეს თუ არა, მივიღებთ ამას თუ არა, ფაქტია, ნებისმიერი ქვეყნის ბედს გარემოცვა განსაზღვრავს.

თვალი გადავავლოთ ჩვენს სამეზობლოს. სომხეთი, რომელზეც, შეიძლება, ძალიანაც ნაწყენი ვიყოთ, მაგრამ დღეს ის ჩვენთვის ფარია. ბრწყინვალე დამოკიდებულება გვაქვს აზერბაიჯანთან, მაგრამ ეს სამაგალითო მეგობრობა იმის გარანტიას ვერ მოგვცემს, რომ, სამომავლოდ, გეოპოლიტიკური ინტერესები არ შეიცვლება. იგივეს ვიტყვი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებზე. ჩვენი დამოუკიდებლობა დამოკიდებულია სხვაზე. ასეთია მცირე ერების ისტორიული ბედი.

იმ სამი სიტყვიდან, მამული, ენა, სარწმუნოება, რომელს ულხინს დღეს? ენაში პრობლემაა, მამული — ნახევარი წართმეული გაქვს, სარწმუნოებას — ვკრგავთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას ვკარგავთ.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა დასავლეთისა და ამერიკის იმედით, რომ ისინი დაიცავენ საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას, თავს გაწირავენ და ომს დაიწყებენ ვინმესთან, გულუბრყვილობაა. ამიტომ ჩვენი გადარჩენა ჩვენს გონიერებაზეა დამოკიდებული.

ღმერთმა მოგვცა ის, რაც, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში არ აქვს არც ერთ ერს და სახელმწიფოს. დააკვირდით, სად არის ასეთი ბუნება — წელიწადის ერთ დროს მთაში თოვლია, ზღვის კურორტებზე გაკაშკაშებული მზე, წლის ყოველ დროს არის ეკოლოგიკურად სუფთა საკვები პროდუქტი. ოთხი ძირითადი ბუნებრივი კომპონენტი ჰარმონიულად არის შერწყმული — წყალი, ჰაერი, მიწა და სითბო. ჩვენზე უკეთესი საცხოვრებელი ადგილი ძნელი მოსაძებნია მსოფლიოში და ჩვენ რას ვაკეთებთ? — ვსპობთ ყველაფერს.



ხომ ხედავთ, მსოფლიოში რა მდგომარეობაა. ერთი პატარა ბაქტერია ანადგურებს დედამიწის მოსახლეობას. ეს სასჯელი ბუნებამ და ღმერთმა მოუვლინა კაცობრიობას. ადამიანი რომ წესიერად ექცეოდეს გარემომცველ ბუნებას, ჩვენს პლანეტას, ასე არ მოხდებოდა.

ადამიანები ულმერთო გახდნენ. რწმენა დაკარგეს. არადა, რწმენა უმთავრესია.

მე რაც ვიხილე ჩემს ბავშვობაში, შეიძლება, თითქმის არავის ჰქონდეს ნანახი — ცხადად ვნახე, როგორ ამოსდიოდა სული ახალგაზრდა ქალს, მატერიალური სუბსტანცია როგორ ამოვიდა მომაკვდავის პირიდან, პატარა ფინჯანის ზომის ბრტყელი ნისლი ბარბაცით, ნელნელა ავიდა მაღლა. მას მერე დიდი დრო გავიდა და ამის გააზრების საშუალება მომეცა. დღეს დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სული რეალურად მაქვს ნანახი.

**— ჩვენი პოლიტიკოსები ამაზე, მგონი, არ ფიქრობენ.**

— საქმე ისაა, რომ მიმდინარეობს ჩვენი, როგორც ერის, ხალხის, კოლექტიური გასამართლება და დასჯა.

ნათქვამია, დამარცხებული ქვეყნის ინტელიგენტი, ინტელიგენტად არ ჩაითვლებაო. დიახ, დამარცხებული ქვეყნის ინტელიგენტი ინტელიგენტად არ ჩაითვლება, რადგან მან ვერ გაიაზრა, ვერ გაითვალისწინა მოსალოდნელი საფრთხეები და ვიღაც დამპყრობელს დაემონა. შესაბამისად, ის უკვე პოლიტიკური მონაა.

**— ბატონო რომან, დიდი ხანი არაა, რაც საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მაკედონიასთან დამარცხდა და დაკარგა შანსი ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის. რა მოუვიდა ჩვენს ეროვნულ სიამაყეს, ჩვენს სპორტს, რატომ ვერ ვაღწევთ ვერც ერთ შეჯიბრში წარმატებებს?**

— აქ, ამ შემთხვევაში, წარმატებას ერის მრავალრიცხოვნება არ განსაზღვრავს, განმსაზღვრელია მხოლოდ ხარისხი. ის ხარისხი, რომელიც სპორტს სჭირდება, საქართველოში უგზო-უკვლოდაა გაბნეული, არ არის ორიენტირებული და კონცენტრირებული მიზნობრივად. ამავე დროს ჩამოვრჩებით ფიზიკურ აღზრდაში. რაც შეეხება ერის ნიჭიერებას, ის უდაოვოდ ნიჭიერია, მაგრამ, საუბედუროდ, არასდროს ქვეყანას არ გამოუყენებია ერის ნიჭიერების თუნდაც 50%. მცირერიცხოვანმა ერმა წარმატებისათვის კონცენტრირება უნდა გააკეთოს სპორტის იმ სახეობებზე, რომელიც გენეტიკურად დევს მის ფიზიკურ შემადგენლობაში. ჩვენ კიდევ ვებღაუჭებით მსოფლიო მასშტაბით, თუ რამეს მოვკარით ყური, ყველაფერს, ყველა სახეობას, რაც ჩვენი გენეტიკისთვის უცხოა. ამისთვის არც რიცხოვნობა გვეყოფა, არც ფული და არც ნიჭიერება. ყველაფერში ნიჭიერი არავინ არ არის. ტყუილად ვხარჯავთ უზარმაზარ თანხას სპორტის იმ სახეობების განვითარებისთვის, სადაც არაფერი არ გამოვა. ეს დაგვაბნევს და რაშიც წარმატება გვაქვს, იმასაც დაგვაკარგვინებს. ესე იგი, ჩვენ არა გვაქვს სპორტის განვითარების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული გეგმა ის კი არ არის, რომ ყველაფერს ებღაუჭებოდე, რასაც უძლურს ხდის სპორტის სახეობების სიმრავლე.



რადგან ფეხბურთზე მკითხეთ, გეტყვით: ფეხბურთში მთავარია გამძლეობა, ანუ ფიზიკური მომზადება. ქართველებს ფეხბურთში ნიჭიერება არასდროს გვაკლდა და მუდამ გვექნება. წარუმატებლობის მიზეზი ნიჭიერებაში კი არა მეთოდიკაში უნდა ვეძებოთ. ჩვენს გუნდს ეს აშკარად არ ჰყოფნიდა. საქართველოში დღეს ფეხბურთი ამის მსხვერპლია.

თუ გვინდა, სპორტი განვითარდეს, უნდა გაიყოს ორ ნაწილად: მოსახლეობის ფიზიკური აღზრდა, ანუ ფიზიკური კულტურა და დიდი სპორტი. ფიზიკური კულტურა სულიერების საძირკველია. დიდი სპორტი დიდი ფუფუნებაა, ფიზიკური აღზრდა კი ჯანმრთელობის საწინდარი. ამიტომ ფიზიკურ აღზრდას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი მმართველი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ერის სულიერი და ფიზიკური კულტურის აღზრდის მიმართულებებს, ხოლო დიდ სპორტს — მაღალ შედეგებზე ორიენტირებული მმართველობა ოლიმპიური კომიტეტის სახით.

დღეს ორივე ერთ საქმეს აკეთებს და ერთმანეთს უშლიან ხელს. პასუხისმგებლობა შედეგებზე ხან ერთ მხარეს ეკისრება, ხან — მეორეს. ფულს ერთი და იგივე საქმისთვის ორივე ხარჯავს. ბევრჯერ მილაპარაკია ორივესთან სპორტის განვითარების საკითხებზე, მაგრამ შედეგად მივიღე ის, რომ მე, რომან რურუა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, რომელსაც არც ერთ საერთაშორისო ოფიციალურ ოლიმპიურ თუ მსოფლიო სარბიელებზე არც ერთი ქვეყნის წარმომადგენელთან არ წამიგია (დანარჩენს არ ვთვლი), ოლიმპიური კომიტეტის წევრიც არა ვარ და არც ის მედალი არ მიმიღია, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებით, სამი წლის წინ ღვაწლმოსილ სპორტსმენებს გადაეცათ. დღეს ეს მედალი ოლიმპიური კომიტეტის რომელიღაც ოთახში ინახება. არადა, ჩემი მოთხოვნა იყო, ეს მედალი უკან დაებრუნებინათ.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენს მიერ გადმოცემული ჯილდო იმ წელსვე დაგიბრუნეთ უკან, მაგრამ თქვენამდე არ მოსულა.

დიახ, მე, რომან რურუა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წევრი არ ვარ. რატომ არ ვარ, ჰკითხეთ ლერი ხაბელოვს, ჰკითხეთ ყაველაშვილს, ვინმეს რამე აინტერესებს?

ჭიდაობაში, ალბათ, სხვებზე უკეთესი სპეციალისტი ვარ. ვიყავი საქართველოს ჭიდაობის უმაღლესი სკოლის დირექტორი, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, სსრკ



ნაკრების და საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, რეალურად და პრაქტიკულად, გამოვლილი მაქვს სხვაზე მეტი და შესაბამისად, ცოდნა და გამოცდილებაც მეტი გამაჩნია, მეხსიერებას არ ვუჩივი, ფიზიკურად გამოვირჩევი, ვისაც უნდა მეჭიდაოს, მაგრამ რეალობა ისეთია, როგორსაც ვხედავთ.

მე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის კანდიდატურა მომახსნევინეს. უპირობოდ ვხდებოდი პრეზიდენტი, რადგან სხვა ყველა განზე გადგა — მაინც გაიმარჯვებს რომან რურუაო. ჩემი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობა იყო საზოგადოებრივი აზრი, ჩემი მოთხოვნა კი არა. უამრავი საქმე მაქვს, რად მინდოდა ფედერაციის პრეზიდენტობა, მაგრამ მთხოვეს — გზა გვიჩვენე, კონსულტაციები მოგვეცი და მერე გადადექი, თუ მოისურვებო.

რა არის, იცით? საქართველო არის მსოფლიო ჭიდაობის აკვანი. არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს ისეთი ნიჭიერი და გონიერი მოჭიდავეები, როგორიც საქართველოს, ჩვენი ეროვნული, ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე, მაგრამ მარტო ჭიდაობა, თავისი ილეთებით, კი არ არის მთავარი, აქ მნიშვნელოვანია კაცობა, ვაჟკაცობა, რაც ახსოვს ქართველებისგან მსოფლიო სპორტს. მაგალითისთვის დაგისახელებთ ვახტანგ ბალავაძეს, გივი კარტოზიას, არსენ მეკოკიშვილს, ლევან თედიაშვილს. სხვებიც იყვნენ, ყველას ვერ ჩამოვთვლი ახლა.

იგივე ბუნებრივი უპირატესობით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის, ფეხბურთელებიც.



ქართველები 90 წუთს ვერ ძლებენ ექსტრემალურ ვითარებაში, რადგან სუნთქვა უჭირთ. სუნთქვა კი აზროვნების დედაა, მას ვერაფერი ცვლის. თუ კარგად სუნთქავ, კარგად აზროვნებ და შრომის მეტი უნარი გაგაჩნია. ვისაც სუნთქვა შეზღუდული აქვს, ის წინააღმდეგობას ემორჩილება, რადგან უჭირს უჟანგბადობა და მარცხდება.

**— როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და რაში ხედავთ გამოსავალს?**

— 30 წელიწადია პოლიტიკურ გამოსავალს ვეძებთ და ვერ ვიპოვეთ. კიდევ ცოტა და რა სახეს მივიღებთ, არავინ იცის. გამოსავალი არჩევნების სისტემის შეცვლაში უნდა ვეძებოთ. არჩევნების სისტემა მოძველდა და არ მუშაობს. თუმცა არჩევნების გაყალბება უკვე მსოფლიო პრობლემა ხდება. სამართლიანი არჩევნები დემოკრატიის უმაღლესი გამოხატულებაა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს დემოკრატია თითქმის ყველგან ირღვევა. გამოსავალი აუცილებლად არსებობს და ვიმედოვნებთ, მას ვიპოვით მომავალი არჩევნებისთვის.

ნახეთ, როგორ ცხოვრობენ სკანდინავიის ქვეყნებში და მიხედებით, როგორი მართვის სტილით და მეთოდით უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფომ. იქ ინტელექტი მართავს ქვეყანას, ურთიერთპატივისცემის და ნდობის ფაქტორიდან გამომდინარე. ჩვენთან ეს პრინციპი დარღვეულია, რადგან შორს ვართ ამ ინტელექტისგან. ვუბრუნდები ჩემს ნათქვამს: აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც საძირკველია ჩვენი გეოპოლიტიკის.

ჩვენი მიმართულება უნდა იყოს სამი რამ — მამული, ენა და სარწმუნოება. ამის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ, ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. კანონი და კანონზომიერება ერის ხასიათიდან უნდა გამომდინარეობდეს.

საკმარისია, ამ სისტემაში ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მოგონილი ბუნებრივი კანონზომიერებისაგან განსხვავებული გაუაზრებელი კანონები დაინერგოს, რომ საზოგადოება, როგორც სისტემა, სიცოცხლის უნარს დაკარგავს და შედეგად იმ საზოგადოებას მივიღებთ, რომელსაც დღევანდელი საქართველო ჰქვია.

აქედან გამომდინარე, გასაგებია ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი — ბუნებრივი კანონზომიერების, ანუ ბუნებრივი სამართლის უგულებელყოფა და ვიღაცის მიერ საწერ მაგიდასთან გამოგონილი სამართლის, ანუ პოზიტიური სამართლის აღზევება.

ბუნებრივი სამართლიდან გამომდინარე, ყველა ადამიანი თანასწორი უფლებებით იბადება. შესაბამისად, საკუთარი შინაგანი პოტენციალის, შესაძლებლობის გამომჟღავნების და ღვაწლის უნარი ყველას აქვს. ისინი არ ითვალისწინებენ ერთ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ, როგორც აბსოლუტურად იდენტური ადამიანები არ არსებობენ, ასევე გამორიცხულია ერების, საზოგადოებების და სახელმწიფოების იდენტურობა და შესაბამისად, ამ მრავალფეროვან, განსხვავებული თვისების მქონე სისტემაში, ერთი და იგივე სამართლის დანერგვა-დამკვიდრება ბუნებრივ კანონზომიერებაში გაუაზრებელი ხელოვნური ჩარევის ტოლფასია. ასე რომ არ იყოს, მსოფლიოს განვითარების სისტემის საუკეთესო იურისტებს შევკრებდით და ერთ უნივერსალურ სამართალს შევქმნიდით, რომელიც ყველა სახელმწიფოში უნიკალურ შედეგს მოგვცემდა. გაუაზრებელნი არ ფიქრობენ, რომ ბუნებრივი კანონზომიერება ამას არ დაუშვებს.

მსოფლიოში დამკვიდრებულმა პოლიტიკურმა ძალამ დეგრადაცია განიცადა, რაც ნიშნავს იმას, რომ სისტემა გადაბერდა და დაჩლუნგდა, ან, უარეს შემთხვევაში, თაღლითური გზით განვითარდა. დღეს მსოფლიო ვერ იყენებს ამ სისტემას. ამისთვის, სქემიდან გამომდინარე, უნდა მოიძებნოს გამოსავალი, რათა შეწყდეს თაღლითების თარეში, არეულობები, რევოლუციები, მკვლელობები და ა.შ.

ვინაიდან ყველაფერი, რაც დღემდე ხდებოდა და ხდება, ითხოვს ცვლილებებს. სხვაგვარად მსოფლიო მიექანება უფსკრულისაკენ ან ომისკენ. მოსალოდნელი მსოფლიო ომი კი კატასტროფის მომასწავებელია, რაც ადამიანებს ჯერ კიდევ არა აქვთ გაცნობიერებული.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დაწყნარდეს შექმნილი მდგომარეობა მსოფლიოში? გამომდინარე იქიდან, რომ ყველაფერი პროგრესულის და არაპროგრესულის ავტორია ადამიანი, ისევ ადამიანმა უნდა იკისროს გამოსავლის ძიება. სხვა ვერავინ ვერ გვიშველის.

**— ჩვენთვის დღეს ნომერ პირველ პრობლემად მაინც რჩება ის, როგორ გადავრჩეთ და როგორ განვვითარდეთ.**

— მთავრობა ამბობს, განათლება უნდა იყოს პრიორიტეტული, მაგრამ რად გვინდა განათლება, თუ ჩვენი თაობები ნაადრევად დაიხოცებიან?

ორი რამ განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობას. უპირველესად, ჰაერი, წყალი და საკვები, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობის საფუძველია. წყალს განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს.

თავად ადამიანის ჯანმრთელობა განისაზღვრება იმით, როგორ საკვებს მიიღებს და რა ხარისხის წყალს სვამს.

რას ვჭამთ დღეს და რას ვსვამთ?

ადამიანის ორგანიზმის 82% წყალია, აქ უკვე დამთავრებულია ლაპარაკი. მეცნიერული კვლევა აღარ უნდა ამას, ისედაც ცხადია, რომ წყალი განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობას. წყლის ხარისხზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა და მისი ჯანმრთელობა. ყველა წყალი წყალი არ არის, ამ შემთხვევაში იმ წყალზეა საუბარი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის შეუცვლელია. დანარჩენი სხვა ნებისმიერი გაფილტრული წყალი მავნებელია. როცა წყალზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რა წყალზეა ლაპარაკი, თორემ მსოფლიოში წყლის მეტი რა არის?!

სიტყვა გამიგრძელდა და ახლა კონკრეტულად თქვენს კითხვას დავუბრუნდები. თქვენ მკითხეთ: როგორ გადავრჩეთ, როგორ განვვითარდეთ? მე ვიტყვი, რა უნდა ვქნათ, რომ დამთავრდეს ერთმანეთის გინება, ჩხუბი და როგორ ამოვიდეთ ამ ჭაობიდან.

ხშირად ვფიქრობ ამაზე და უნდა გითხრათ, რომ იმ სიტუაციაში, როგორშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, არის, დაახლოებით, მთელი მსოფლიო.

არჩევნები გაყალბდაო. მე არ ვიცი, რა, როგორ გაყალბდა, მაგრამ დამისახელეთ ერთი ქვეყანა სადმე, სადაც არჩევნები 100%-ის სიზუსტით ტარდება.

ჩვენთან დამკვიდრებული პოლიტიკური წრეების აგიტაციის მთავარი ლაიტმოტივი არის ერთმანეთის ლანძღვა-გინება, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას ანგელოზად მოაქვს თავი, იფუთებიან ბრწყინვალე მომავლის ავტორებად, შეპირებებიდან გამომდინარე და არა რეალური პროგრამების მიხედვით, რასაც ხალხი, ამომრჩეველი, მეტნაკლებად იჯერებს, აირჩევენ და ფიქრობენ, იქნებ გაგვიმართლოსო. არ დაიცალა ტყუილების გუდა. შედეგად კი ვიღებთ მოტყუებულ, იმედგაცრუებულ საზოგადოებას და ისევ იწყებს კარუსელი ტრიალს. შესაბამისად, ისევ უკან ვბრუნდებით. ასე გადის ჩვენი ცხოვრება. ამ მოლოდინში ქვეყანა შეთხელდა. ამიტომ, სასურველია, პოლიტიკურ პარტიებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროთ და ჩვენს ახალ კონსტიტუციაში ჩაიწეროს — პარტია, რომელიც სახელმწიფოს სათავეში მოვა, ვალდებულია, აღასრულოს დაპირებები წარმოდგენილი პროექტების მიხედვით, არჩევნების მთავარი პირობა ნოტარიალურად უნდა იყოს გაფორმებული. აი, მაშინ ვნახოთ, ვის რა მადა ექნება.

თუ ვერ შეასრულებს, რეალურად გასამართლდეს, პასუხისგებაში მიეცეს ხალხის მოტყუებისთვის.

ჩემი დაკვირვება და გამოცდილება მარწმუნებს, რომ დიდი სიფრთხილით უნდა შევხედოთ ყველას, ვინც პარლამენტში შესვლისთვის თავს იკლავს, ფულს ხარჯავს და ამავე დროს, შევეხვეწოთ, სწორედ რომ შევეხვეწოთ, პარლამენტზე იფიქროს ყველა ადამიანმა, ვინც მართლაც ჰაერივით სჭირდება უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ჩვენს სამშობლოს.

„შეფუთული“, „გალამაზებული“ თვითმარქვია პოლიტიკოსები კი არა, მაღალი რეპუტაციის მქონე პროფესიონალები, გამოცდილი ადამიანები, რომელთაც ქართული სული აქვთ, მაგრამ ესმით მსოფლიოს სუნთქვაც — ეს სჭირდება დღეს საქართველოს.

„კუჭის პრობლემა“ ვერ გადაწყდა გონიერებით, როგორც ხშირად ვამბობთ, ტვინით გატენილი ადამიანების და ღვთითბოძებული წალკოტის ქვეყანაში. მსოფლიომ იცის ყინულოვანი, უმიწო და უწყლო ქვეყნები როგორ აქციეს წალკოტად ხელისუფლებებმა მეცნიერებაზე, ნიჭიერ ხალხზე დაყრდნობით, საქმიანი ადამიანებისადმი მხარდაჭერით და ქვეყნის სიყვარულით. დღევანდელი ქართული პოლიტიკით წალკოტი ხრიოკი ხდება. საკუთარი უმეცრებით დაჩაჩანაკებულია ადგილობრივი თვითმმართველობა. არ შეიძლება, დანაშაულია, ამ ქვეყანაში ამდენ გონიერ და საქმის მკეთებელ ადამიანს ხელისუფალთაგან მისჯილი ჰქონდეთ უსაქმურობა და ტანჯვაში ცხოვრება.

დღისით და ღამით აგინებენ რუსთაველზე ერთმანეთს და სასეირო კონცერტია დადგმული. ვიღაცისთვის საყურებლად შეიძლება გასართობი იყოს, მაგრამ ქვეყანას არაფერს არ არგებს ეს, ხოლო, რაც მთავარია და რაც ყველაზე გულსაკლავია, ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა იმას, ვინაც ეს ქვეყანა დააქცია.

მე მოვალ და ყველაფერს კარგს გავაკეთებ, ჭკუა ვისწავლეო. ჭკუა ან გაქვს, ან — არა. ვერ ისწავლი ჭკუას, თუ ის ბუნებისგან არ გაქვს ნაბოძები. ჭკუა არ ისწავლება — დაიმახსოვრეთ! თუ ღმერთმა დაგვიფაროს და, მართლა დაბრუნდა, შეცვლის სიმღერას ყვარყვარესავით, დასკუპდება სავარძელში და პირველი დღიდანვე დაიწყებს ფიქრს: რამდენი ხანი ვიქნები მე ამ კაბინეტში? რამდენი ხანი მექნება ფუფუნება და პრივილეგიები? ესაა საქმე? უმეტესობა მხოლოდ ამაზე ფიქრობს და იმიტომაც ვერ მიდის წინ ქვეყანა. თავისი მმართველობის პერიოდში ყველა ცდილობს, საკუთარი საქმე გაიკეთოს, რომ, როცა არ იქნება ამ პოსტზე, უზრუნველყოფილმა იცხოვროს. ზოგი ასწრებს ამ მიზნის განხორციელებას, ზოგი — ვერა და ვინც ვერ ასწრებს, უნდათ, კვლავ დაბრუნდნენ, რომ უფრო მეტი მოიხვეჭონ საკუთარი კეთილდღეობისთვის და იწყება არეულობა, თავისმტვრევა და ათასი უბედურება.

ხალხი პარტიებისადმი უნდობლობით არის განწყობილი. პარტიებმა არჩევნები სავაჭრო ბაზრად აქციეს.

სად ხედავთ აქ განვითარებას? ან ერის გადარჩენასა და გაძლიერებაზე ზრუნვას?

**— მე გკითხეთ, გამოსავალი სად არის-მეთქი?!**

— ეს კიდევ სხვა საუბრის თემაა, თქვენი კითხვა კი რიტორიკულიცაა და ლეგიტიმურიც — ფაქტია, ასე ცხოვრება შეუძლებელია, გამოსავალი უნდა მოიძებნოს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ბრიყვთა ბრიყვნი და შუშა კიტრები








წინა კვირის ერთ-ერთ დღეს, სანამ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო საქართველოში ჩამოვიდოდა, ე.წ. ქართველმა ექსპერტებმა მას წერილით მიმართეს: მისტერ პომპეო, გთხოვთ, გემუდარებით, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თქვენი შეიარაღებული ძალები, ბირთვული ბომბების თანხლებით მუდმივად განათავსოთო. დიახ, ამას წერენ ექსპერტები, ოღონდ ე.წ. ექსპერტები.

რატომ მოვიხსენიებ ამ ადამიანებს ასე უდიერად? იმიტომ, რომ თავები მოაქვთ შუშა კიტრებივით და ამ დროს წერა-კითხვაც კი უჭირთ.

აგერაა, ბატონებო, ამათი დაწერილი ტექსტი, ერთად გავარჩიოთ:

"ჩვენ, საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საზოგადოების წარმომადგენლები, გულწრფელად მივესალმებით თქვენს ვიზიტს თბილისში, ამ მწვავე დროს. ერთიანნი ვართ ჩვენს შეხედულებებში აშშ-საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაძლიერებაში, რომელსაც გიზიარებთ. საქართველოსთვის აშშ არის სასიცოცხლო მოკავშირე. ჩვენ აგრეთვე გვჯერა საქართველოს წვლილის ევროპასა და მსოფლიოში დასავლური ინტერესების გაძლიერების საქმეში. საქართველო, როგორც ქვაკუთხედი ამყარებს ჩვენი მოკავშირეების პოზიციებს აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფანში, რომლის შექმნისთვისაც ამდენი ძალისხმევა ჩადო აშშ-ის სხვადასხვა ადმინისტრაციამ. აშშ-ის ლიდერობით მოქმედ ევროატლანტიკურ სისტემას ვხედავთ ევროპის ერთიანობის, თავისუფლებისა და მშვიდობის ერთადერთ გარანტორად".

აქ ცოტა ხნით უნდა შევაყოვნოთ... რა სისულელეც შესავალში დაწერეს, ჯერ ეს განვიხილოთ. ნახეთ, როგორ იწყებენ: "ჩვენ, საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საზოგადოების წარმომადგენლები"... რა საზოგადოება, რომელი იხვის ტოლმა და სადაური ვირის პალო? ფაქტობრივად აცხადებენ, ჩვენ საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის დარაჯნი გახლავართო. არადა, ცოტა ქვემოთ მათ ვინაობას რომ გაგაცნობთ, იმდენს იცინებთ, მუცლები გეტკინებათ.

ბატონო პომპეო, ჩვენ მოხარული ვართ, თბილისში რომ ჩამოდიხართ ასეთ მწვავე დროსო. გაიგონეთ? მწვავე დროსო და ამავე დროს, ჩვენ ერთიანნი ვართ ჩვენს შეხედულებებში უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაძლიერებაშიო. ჰა, როგორი ქართულია? ერთიანნი არიან თავიანთ შეხედულებებში, უსაფრთხოების სფეროში და პარტნიორობის გაძლიერებაში.

ეს კიდევ არაფერი, ამის შემდეგ იძახიან: "საქართველო, როგორც ქვაკუთხედი ამყარებს ჩვენი მოკავშირეების პოზიციებს აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფანში". ვერ გაიგეთ, ხომ? თუ შევძელი, აგიხსნით... ესე იგიო, საქართველო ქვაკუთხედია, რომელიც მოკავშირეების პოზიციებს ამყარებს დერეფანშიო. მაინც ვერ გაიგეთ? კაი, ვეცდები, კიდევ ერთხელ აგიხსნით... ჩვენ, საქართველოელები ვსხედვართ დერეფანში და ვიღაცების პოზიციებს ვამყარებთ. კონკრეტულად რა პოზიციებს ვამყარებთ, ეს გაუგებარია.

მოდით, ეხლა ასე მოვიქცეთ...



სანამ ამ "ისტორიული" წერილის დანარჩენ ნაწილს შემოგთავაზებთ, ბარემაც ქვემორე ხელის მომწერთა ვინაობასაც გაგაცნობთ:

**ზვიად აძინბაია** – ეს ტიპი ადრე ბოსტნეულს ჰყიდდა ზუგდიდის ბაზარში. მერე ერთი ხანობა გაქრა, მოგვიანებით თბილისში გამოჩნდა და განაცხადა, ექსპერტი გახლავართ, საგარეო უსაფრთხოების საკითხებში, კემბრიჯის უნივერსიტეტი დავამთავრეო. არც ერთი პროფესია არ არის სათაკილო და დასაძრახი, მათ შორის მემწვანილეობაც, მაგრამ როცა ასეთ სისულელეზე აწერ ხელს, მიმტკიცდება აზრი, რომ მწვანილი უნდა გაყიდოს მემწვანილემ, ხოლო საგარეო უსაფრთხოებას მიხედოს დიპლომატმა ან საგარეო უსაფრთხოების სპეციალისტმა!

**ეკა აკობია** – დაბადებულია ქალაქ სოჭში, ჰყავს მეუღლე – სერგი კაპანაძე... წესით აქ უნდა გავჩერდე, სერგი კაპანაძის მეუღლე რომ ხარ, ყველაფერი გასაგებია.

**ირაკლი ალასანია** – ეს სად მოძებნეს, არ ვიცი, მე ეს მეკიტრეობის ბიზნესში მგონია დასაქმებული და ეხლა იძახის, ექსპერტი გახლავართო. ჰო, ხალხო, ის არი, ბიძინა ივანიშვილის ხათრით პარლამენტში რომ გავამწესეთ, მერე თავდაცვის მინისტრადაც რომ დავნიშნეთ, ბოლოს რამსები რომ აერია და სადღაც აორთქლდა.

**ირინა არაბიძე** – მიუხედავად იმისა, რომ თამარა ("ტაბულა") ჩერგოლეიშვილს უწერს ტონობით სტატიებს საგარეო პოლიტიკის თაობაზედ, მაინც არავინ იცნობს.

**ფიქრია ასანიშვილი** – გიული ალასანიას უნივერსიტეტში მუშაობს. ამით ყველაფერია ნათქვამი.

მეგობრებო, მე მგონი, ყველას ბიოგრაფიის ქექვა ძალიან შორს წაგვიყვანს, აზრიც არ აქვს, ამათგან ყველა დაახლოებულია "ნაციონალურ მოძრაობასთან", ზოგი პირდაპირ, ზოგი – ირიბად. მოკლედ, სია ასე გამოიყურება: გიორგი ასტამაძე, ნატო ბოჩიაშვილი, გიორგი ბადრიძე, ზურაბ ბატიაშვილი, ზაზა ბიბილეიშვილი (გავარვარებული "ნაცი"), ლევან ბოძაშვილი (2020 წლის აგვისტოს ბოლოს მოვიდა პოლიტიკაში, არჩევნებშიც მონაწილეობდა, მაგრამ როგორც მოვიდა, ისე წავიდა), ეთო ბუზიაშვილი, მიხეილ დარჩიაშვილი, დავით დარჩიაშვილი (აორთქლებული "ნაცი"), ჯაბა დევდარიანი, პაატა გაფრინდაშვილი, კახა გოგოლაშვილი (ეს უფრო სერიოზული კაცი მეგონა), გიორგი გოგუაძე, თორნიკე გორდაძე, გიორგი გვალია, შოთა ღვინერია, გია ჯაფარიძე, თედო ჯორბენაძე, ნინო კალანდაძე (აგია იგი, მიხეილ სააკაშვილის დიპლომატიის მშვენება), ნოდარ ხარშილაძე, თინა ხიდაშელი (ჰო, ეგ არი, თავდაცვის "ბუშლატიანი" მინისტრი, ოღონდ ყოფილი, თურმე ესეც გაექსპერტებულა), ბექა კობახიძე, ბათუ ქუთელია (აალებადი "ნაცი"), ხათუნა ლაგაზიძე (ჰა, ჰა, ჰა... ერთი პერიოდი პაატა ბურჭულაძის პარტიაში იყო, მერე გამოიქცა, თავისი პოლიტიკური ბედისა ვერაფერი გაუგია და მაინც ექსპერტუნობს), ეკა მეტრეველი, გრიგოლ მგალობლიშვილი, ხათუნა მშვიდობაძე, გიორგი მუჩაიძე, სოფო პეტრიაშვილი, ალექსი პეტრიაშვილი (ეს იმის ქმარია, ტელევიზორში ქალი რომ გამოდის ხოლმე და ბოლო დროს მასთან ერთად თვითონაც რომ გამოდის ხოლმე. ჰო, ეგეც "ქართულ ოცნებაში" მუშაობდა ალასანიას ძმაკაცად), თენგიზ ფხალაძე (ამის წინ პრეზიდენტი რომ გვყავდა, რა ერქვა?.. ჰო, მარგველაშვილი... მაგისი მრჩეველი იყო ქსოვის დარგში), მირიან ფოხაძე, ირაკლი ფორჩხიძე, დავით რაქვიაშვილი (ესეც მარგველაშვილის ძმაკაცად მუშაობდა მარგველაშვილთან), გიორგი რუხაძე, თორნიკე შარაშენიძე (ვერ გაიგებთ, ვინ არი და რა უნდა), ვასილ სიხარულიძე, თორნიკე თურმანიძე, გელა ვასაძე თემურ იაკობაშვილი (ეს უნიკალური მოვლენაა ქართულ სინამდვილეში... 2008–2010 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში. ომის დღეებში იმდენი სისულელე ილაპარაკა, აქეთ ჩვენ გადაგვრია, იქით – რუსები).

ახლა კი განვაგრძოთ ამ პროვოკატორების მიერ ჩიქორთული ქართულით დაწერილი წერილის კითხვა:

"ბოლო წლებში სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის რეგიონი გეოპოლიტიკური არასტაბილურობის არეალად იქცა. უსაფრთხოების რისკების უმრავლესობა გამომდინარეობს რუსეთის ამბიციებიდან – აღადგინოს საბჭოთა ეპოქის დროინდელი „გავლენის სფერო", მის მიერ „ახლო საზღვარგარეთად" აღქმულ არეალში. მოქმედებების თავისუფლებით გათამამებულმა რუსეთმა ახლახან განალაგა თავისი ჯარი მთიან ყარაბაღში, რითაც ზრდის მის სამხედრო პოზიციას რეგიონში. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველოს თავისუფლების მოყვარე მოქალაქეები იბრძვიან ფუნქციური დემოკრატიის შესაქმნელად. ამ საქმეში აშშ სასიცოცხლო მნიშვნელობის მოკავშირეა საქართველოსი, რომ ის იქცეს „ელვარე ქალაქად მთაზე", რომელმაც დაძლია სახელმწიფოებრივი მარცხი და წარმატებით დააღწია თავი კორუფციის საბჭოურ მემკვიდრეობას. ქართველი ხალხი თავისთავად მოვლენად არ აღიქვამს ამერიკის ჭეშმარიტ მეგობრობას. ქართველების 90 პროცენტი იწონებს აშშ-ისა და საქართველოს სამხედროების ღირსეულ სამსახურს აშშ-ის ლიდერობით ერაყსა და ავღანეთში წარმართულ მისიებში. ძალიან ვაფასებთ ამერიკის ძლიერ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. აშშ-ის რეგიონული და გლობალური ინტერესების წინსვლის კონტექსტში, გვჯერა, რომ საქართველოს ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა: აშშ-ის ჯარის მუდმივად განთავსება საქართველოში. ასეთი პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს გაერთიანებულ (აშშ/ევროკავშირის) ძალებს როტაციულ საფუძველზე, ისევე როგორც ლოჯისტიკურ და საჰაერო პატრულირების ელემენტებს, რაც უზრუნველყოფდა მრავალგვარ შესაძლებლობას აშშ-ისა და ერთობლივი ძალების სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში უწყვეტი ოპერირებისთვის. ამავდროულად, აშშ-ის სამხედრო ყოფნას საქართველოში ექნებოდა საყოველთაო მხარდაჭერა, თავიდან აგვაცილებდა მყისიერ საფრთხეებს და დაეხმარებოდა საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან მიახლოებაში. დღესდღეობით, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობაში საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა თავისი დემოკრატიული ინსტი-

ტუტების მედეგობის გაზრდითა და გაძლიერებით. ამ კონტექსტში, მივესალმებით აშშ-ის ღირებულ ჩართულობას საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის გადაჭრისთვის მედიაციის პროცესში. აგრეთვე მადლიერი ვართ აშშ-ის მნიშვნელოვანი და უწყვეტი მცდელობებისთვის, რაც წლებია გრძელდება საქართველოს დემოკრატიის მხარდასაჭერად. სრულად ვუჭერთ მხარს აშშ-საქართველოს ალიანსის გაძლიერების პროცესს, ადგილზე აშშ-ის სამხედროების ყოფნის ჩათვლით, რასაც ვთვლით სარგებლის მომტანად საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის".

აბა, დაუკვირდით, არჩევნები ახალი ჩატარებულია, ე.წ. ოპოზიცია მიედ-მოედება, ურევს, უცხოელი დიპლომატები ცდილობენ, სიტუაცია დაალაგონ, ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებენ თვითონ პროცესშიო? რა უნდა გაიგოს აქედან ტრამპმა, თუნდაც ბაიდენმა, თუნდაც პომპეომ?!

არა, რააა... მე მაინც იმ აზრზე ვარ, რომ მემწვანილემ მწვანილი უნდა გაყიდოს, ხოლო "მესასტუმროემ" (ხათუნა ლაგაზიძემ) სასტუმროს მიხედოს, სხვანაირად არ გამოდის!

●

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ (მაიკლ) პომპეო საქართველოში ჩამოვიდა.ე.წ. ოპოზიციამ, როგორც მოსალოდნელი იყო ამათი აზროვნებიდან გამომდინარე, ერთი ამბავი ატეხა, ამხელა თანამდებობის პირი ამ ხელისუფლების დასასჯელად ჩამოდისო. ისევ შეცდნენ, პომპეომ ხელისუფლება შეაქო, ე.წ. ოპოზიციას სამი თითის კომბინაცია აჩვენა, ხინკალი ჭამა და წავიდა. თან დაიბარა, ბოიკოტები და ეგეთი რაღაცები ადრე ნანახი კინოა, აღარ ჭრის, თუ შე-



გამყალბებლები და ამ დროს, ეს გაურკვეველი წარმოშობის ე.წ. ექსპერტები ამერიკელებს უსტარს უგზავნიან, არიქა, საქართველოში ბაზები განათავსეთო. იცით, რატომ აკეთებენ ამას? იმიტომ, რომ ისედაც დაძაბული სიტუაცია უფრო დაძაბონ, რუსეთს მისცენ მიზეზი, რომ ან სამცხე-ჯავახეთი აგვირიონ, ან ქვემო ქართლი, ან კიდევ ისევ დაიწყონ მავთულხლართების გადმოწევა გორის მიდამოებში. ამათი მიზანი არის მდგომარეობის გამძაფრება და როგორმე ხელისუფლების ჩათრევა ახალ ომში.

ვიმეორებ: ეს არის რუსული აგენტურა, რომელიც მოქმედებს პროდასავლური ქოლგით. საქართველოში ნებისმიერმა იცის, რომ ბაზებისა თუ შეიარაღებული ძალების განთავსება არ ხდება ასეთი ღია წერილების საფუძველზე, ასეთი საქმეები წყდება საიდუმლო კაბინეტებში და არა ხათუნა ლაგაზიძის მსგავსი ე.წ. ექსპერტების მიერ დაწერილი "სადღეგრძელოს" საფუძველზე. მიზეზსა და ინტერესზე უკვე გითხარით – ეს არის მავნებლობა!

ამ წერილში მრავლადაა ისეთი წინადადებები, რომლის გაგება ჩვენ, ქართველებსაც კი გვიჭირს, ამერიკელებმა რანაირად უნდა გაიგონ? აი, მაგალითი: "მივესალმებით აშშ-ის ღირებულ ჩართულობას საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის გადაჭრისთვის მედიაციის პროცესში".

რაიო? მივესალმებით თქვენს ჩართულობას პოლიტიკური კრიზისის გადაჭრისთვის მედიაციის ეთრევით პარლამენტში – თეკლეს, თუ არა და... ჩემ ყ..ესო!

ე.წ. ოპოზიცია იქადნებოდა, ისეთ აქციებს მოვაწყობთ, პომპეოს გავაგიჟებთო, ბიძინა ივანიშვილს ეგრევე გადავაყენებინებთო. სამი ფლასიანი "ლეიბორისტი" გამობანცალდა კახეთის ტრასაზე, თანაც საპირისპირო მხარეს, ვერც ერთმა ვერ გაიგო, საით უნდა გამოევლო ფრიად საპატიო სტუმარს.

მეორე დღეს იგივე ე.წ. ოპოზიცია ფილარმონიიდან რუსთაველამდე გადაიჭიმა. იმსიგრძე პლაკატები გამოათრიეს, კაი გვარიანი თანხები უნდა გადაეყარათ ამ საქმეში. მოლასლასებდნენ დაღლილი კოორდინატორები და ბევრმა არც კი იცოდა, რისთვის ჩამოიყვანეს ყიზილაჯლოდან თბილისში, ზოგი იძახდა, აქციაზე კი არა, ლექციაზე ვარ ჩამოსულიო, ზოგმა განაცხადა, თავისუფლება მინდაო... არ ვიცი, პომპეოს შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცოდა.

ე.წ. ოპოზიცია და შესაბამისად, საქართველოში რუსული აგენტურა ისევ ჩაფლავდა... იმიტომ, რომ ისინი ამ ქვეყანას ისევ 1990-იანი წლების მეთოდებით ებრძვიან. მე პირადად მიკვირს, როგორ და რატომ მოხდა, რომ ეს უდღეურები გონებრივად ვერ გაიზარდნენ მაშინ, როცა ტექნოლოგიები ასერიგად დაიხვეწა და განვითარდა? დიახ, მიკვირს, მაგრამ ამაზე პასუხიც მაქვს და შემდგომში მოგახსენებთ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# გიგი უგულავა, შე მართლა პატარა კაცო, შორს, შენი ბინძური ხელები წულუკიანებისგან

ძვირფასო მკითხველო, თეა წულუკიანი რომ ნაციონალებს ყელში ჰყავთ გაჩხერილი და ვერაფრით ინელებენ, ეს არახალია და ამას შეჩვეული ვართ. მის ყველა გამოსვლას და მოვლენების ობიექტურად შეფასებას, ძირძველი და ახლადგაევროპელებული ნაციონალები რომ მდგომარეობიდან გამოჰყავს, ესეც არახალია. ასე მოხდა ახლაც, ამ რამდენიმე დღის წინ, როცა თავისი გამოსვლისას თეა წულუკიანმა მოვლენები ობიექტურად შეაფასა და თავისი ბასრი კბილი ისე მტკივნეულად გაჰკრა ნაციონალებსა და მათ ქვედანაყოფ ევროპელებს, რომ ცხრა მთავრობას გადამხტარი, ერთი პარტიიდან მეორეში მოძუნძული, მედროვე და 48 მილიონის ქურდი უგულავა ისე გამოიყვანა მდგომარეობიდან, რომ ნერვიულობისაგან სულ დორბლებს ჰყრიდა, სიტყვებს თავს ვეღარ უყრიდა და რას ბოდავდა თვითონაც არ იცოდა. ბოლოს, ქ-ნ თეას რომ ვერაფერი დააკლო, ოჯახს შეეხო და მამამისი, ცხონებული ავთო წულუკიანი, უდიერად, მკვლელად და დამხვრეტად მოიხსენია, ხოლო თეა მკვლელისა და დამხვრეტის ოჯახურ გარემოში აღზრდილად. რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზიით აჩვენეს ვიღაც ორღობის დედაკაცის წივილ-კივილი, რომელიც თეა წულუკიანს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და უგულავას ბრალდებებს იმეორებდა.

გიგი, ისე ნამდვილად არ დაგამცირებთ, რომ იმ დედაკაცს შეგადაროთ, რომელიც თავისი მენტალობით ყურადღების ღირსი ნამდვილად არ არის, მაგრამ თქვენ გეტყვით, რომ თქვენგან განსხვავებით ავთო წულუკიანი იყო უკეთილშობილესი და უწესიერესი, პრინციპული და ობიექტური ადამიანი. კაცი, რომელსაც გულწრფელად უყვარდა თავისი სამშობლო და თავისი ხალხი, ოჯახი, მეუღლე, შვილები და შვილიშვილები, მეგობრობაში უღალატო და მხარში მდგომი, იცოდა შრომის ფასი, მაგრამ არ იცოდა შრომაში დაღლა. ახლანდელი ზოგიერთი მოსამართლეებისაგან განსხვავებით, თავისი საქმის პროფესიონალი, პრინციპული და ობიექტური მოსამართლე იყო, რომელიც, სხვებისგან განსხვავებით გადაწყვეტილებებს არა ზემოდან დარეკვით, ან მაღალჩინოსნების მითითებით, არამედ კანონიდან გამომდინარე, სინდისის და გულის კარნახით ღებულობდა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.



ავთანდილ წულუკიანი

გიგი, რაც შეეხება იმ დამნაშავისათვის სასჯელის ზომის შეფარდებას, რომელსაც თქვენ ასე დემაგოგიურად აყალბებთ და ისე გამოგყავთ, თითქოს განსასჯელი უდანაშაულო და მართალი კაცი იყო, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თავის დროზე, ეს მეტად გახმაურებული საქმე, რომელიც მთელ საქართველოს, როგორც იტყვიან პირზე ეკერა და მოუთმენლად ელოდნენ დამნაშავის მთელი სიმკაცრით დასჯას. დამნაშავისათვის, რომელმაც ორი უდანაშაულო ადამიანი მოკლა, თქვენსავით, როგორც გირგვლიანის მკვლელს გამოუტანეთ, ოთხი წელი მიესაჯა და შემდეგ ორ წელიწადში გარეთ გამოეშვა? თქვენი „გონივრული“ მსჯელობით გამოდის, რომ ბ-ნ ავთოს კანონიდან გამომდინარე სასჯელის შეფარდების უფლება არ ჰქონია და, მას მკვლელად მოიხსენიებთ. ხოლო თქვენი ზეობის პერიოდში, ყოველგვარი სასამართლოსა და კანონის გარეშე ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდების მიმართ თქვენი ქმედება სამართლიანი და კანონიერი ყოფილა. თქვენ კი, მკვლელები კი არა, „ანგელოზები და ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის მებრძოლი რაინდები“ ყოფილხართ. ვაი თქვენს პატრონს.

ჩემო ავთო, შენ კაცი იყავი, ამასთან ერთად ვაჟკაცი, რადგან ზოგიერთი უღირსი, მხდალი და ლაჩარი ქართველისაგან განსხვავებით, სიკვდილსაც ვაჟკაცურად შეხვდი. როცა გითხარი ბ-ნი ავთო ჯორბენაძე დამპირდა, საუკეთესო ქირურგს გავაკეთებინებ ოპერაციას და ყველაფერი კარგად დამთავრდებაო, მიპასუხე: არა ომარ, „მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ბანკაჩამოკიდებულმა ვიცოცხლოო“. შენს ღირსებასა და ნათელ ხსოვნას უგულავასნაირი არაკაცები, მითუმეტეს ახლახან ზუგდიდიდანაც გამოგულავებული უგულავა ვერაფერს დააკლებს. იძინე მშვიდად და უშფოთველად.

ძვირფასო მკითხველო, არ იფიქროთ რომ, რადგან ბ-ნი ავთო ჩემი მეგობარი იყო, ამიტომ ეს წერილი მის დასაცავად დავწერე. არამც და არამც, ბ-ნ ავთოსა და მის ნამდვილად ტრადიციულ ქართულ ოჯახს, ჩემგან დასაცავი არაფერი ჭირს. წერილი იმიტომ გამოვაქვეყნე, რომ საზოგადოებამ გაიგოს, როგორ არაკაცებთან, დემაგოგებსა და ცილისმწამებელ ყველაფრის მკადრებელ „კასტასთან“ გვაქვს საქმე.

გიგი უგულავავ, წერილის დასასრულს, თქვენი მერობის დროს მოწერილი წერილებიდან რომელიმე ფრაგმანტს გავიმეორებდი, იქნებ თქვენი უკანონო გადაწყვეტილებებისგან სინდისის ქეჯნამ ახლა მაინც შეგაწუხოს. თუმცა ტყუილად, სინდისის ქეჯნამ რომ შეგაწუხოს, სინდისი უნდა გქონდეს, უსინდისო კაცს კი, სინდისის ქეჯნა როგორ შეაწუხებს.

**ომარ გოცაძე**
555 33 55 36







# ბანდიტები

## მიხეილმა და მისმა ბანდამ, სანამ სხვებზე დაიწყებდნენ ხავილს, თავიანთი ბანდიტობის ამბები გაიხსენონ და თავიანთ ბოზ ბიძა-ბაბუებს მიხედონ!

ოპოზიციის მიერ დადგმულმა წარუმატებელმა სპექტაკლმა არა მარტო ჩვენი ქვეყანა, ევროპა და ამერიკაც კი გააკვირვა.

პარლამენტში შევლენ თუ არა, ორივე შემთხვევაში გაბანძებულები დარჩებიან. სანაცეთის წარუმატებლობით აღშფოთებული სააკაშვილი საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევს და ასევე, ნიდერლანდელ ევროდეპუტატს ტინი კოქსს „ეფესბეს“ აგენტს უწოდებს. აღნიშნულ „ბრალდებას“შვედმა პარლამენტარმა, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის წევრმა შვედეთიდან ბიორნ სოდერმა უპასუხა-„სააკაშვილმა სიტყვები უკან უნდა წაიღოს და დაუყოვნებლივ მოიხადოს ბოდიში, საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მთლიანობაში იყო სამართლიანი და დემოკრატიული. შესაბამისად, შედეგებთან დაკავშირებით არ უნდა არსებობდეს არავითარი



ეჭვები.“... მიხეილ გველეშაპთან მებრძოლს ჯერ კიდევ 2012 წლის ბოლოდან, დიდი იმედი ჰქონდა, რომ სხვადასხვა სტრუქტურების — სასამართლოები, ადგილობრივი თვითმმართველობები, ეროვნული ბანკი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური (ყოფილი კონტროლის პალატა), და გარკვეულწილად — პოლიციაშიც (იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი საშუალო რგოლის) ლოიალური პირების დახმარებით საბოტაჟის აქტების განხორციელებით, უცხოეთში საელჩოების და პიარ-კომპანიების დახმარებით, ხალხში ახალი მთავრობის დაპირებების ნელი ტემპით გამოწვეული იმედგაცრუების ფონზე მოახერხებდა ქვეყნის შიგნით და განსაკუთრებით – ქვეყნის გარეთ სერიოზული კამპანიის აგორებას დევიზით – „საქართველოს ახალი მთავრობა ქვეყანას ღუპავს!“, თუმცა, მიხეილის და მისი ხროვის მოლოდინი არ გამართლდა. წელს კი განსაკუთრებით დაწიხლათ ფორტუნამ, რადგან რიგი მიზეზების გამო მათთვის აშშ-ს და ევროპელ „მეგობრებს“ არ ცალიათ.

აი, რას წერს ერთ-ერთი სოციალური ქსელის მომხმარებელი „არ მეგონა, რომ ამის განმარტება მომიწევდა. მიშფანი არის მკვლელების, ჯალათების, არაადამიანების გამპრავებელი! თავადაც არაადამიანი! ნაცების გვერდით ვინც დგას, ახალგაზრდაა თუ ძველგაზრდა, იმ სისხლიანი რეჟიმის დაბრუნების მომხრეა. ვერანაირად ვერ გავამართლებ იმ ახალგაზრდებს, რომ „მათ არ ახსოვთ ის ცხრა წელი“, დედიმისისას რომ მიირთმევენ დიდი კოვზით, კიკინის გაკეთებამდე და რეზინის მოჭერამდე, იუთუბზე მაინც ნახონ, რა ხდებოდა! „თავისუფალი ცხოვრება“ უნდათ თურმე! ვინ დაგიშალათ ბიძიკო?! კაკ მინიმუმ უტვინოები, გაუნათლებლები ხართ, კაკ მაქსიმუმ უკანალის მიმცემები და ნაცების გველის წიწილები! ხოდა რაც მოგივათ დავითაო, ყველა თქვენი დრაკითაო) მე გაგაფრთხილეთ და დალშე თქვენ იცით)))“. დიახ, მიშმადიდებლები დროა მიხვდნენ, რომ სატანის თაყვანისცემა კარგს არაფერს მოუტანთ. მათ გურუს დღესაც გონია, რომ ძალაუფლების ბეჭდის ფლობა ქვეყნის მბრძანებლობას ნიშნავს, მაგრამ ბეჭედს საკუთარი ძალაუფლება გააჩნია მფლობელის მიმართ... ნაცმოძრაობის ყველაზე დიდი პრობლემა ის მწირი ევროპული მხარდაჭერაა, რომელიც სულ უფრო აშკარა ხდება. პარტია, რომელიც სულ უფრო მეტად ირტყამს მკერდში მჯიღს თავისი პროევროპული ორიენტაციის დასამტკიცებლად, სულ უფრო მეტად უჭირს პრორუსული ორიენტაციის დამალვა და მის მიმართ დასავლეთის მოზღვავებული იმედგაცრუების შეჩერება. ნაცლიდერები და მათი ბელადი უკმაყოფილებას აღარც მალავენ „დასავლელი პარტნიორების“მიმართ. პარტია, რომლის მხარდასაჭერად ადრე ამერიკელი კონგრესმენები და ევროპელი მინისტრები სიტყვებს, ოფიციალურ განცხადებებს და ვიზიტებსაც! არ იშურებდნენ, დღეს მდუმარე იგნორირების მოწმე გახდა. და ამის სერიოზული მიზეზი ისაა, რომ სულ უფრო მეტად გამოჩნდება სინამდვილეში რა „ღირებულებებს“ ეყრდნობოდა ნაცმოძრაობის წარსული!

ვფიქრობ, შორს არ არის ის დროც, როცა მავანს მოუწევს თვალების გახელა და მხრების აჩეჩვა... ბიძინა ივანიშვილმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მას სწორი და გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის ხელოვნება კარგად ესმის. მოწინააღმდეგეს აქტივობის შანსს აძლევს და გამოუსწორებელ შეცდომებში გახლართულს, გაშიშვლებულს, აჩვენებს საზოგადოებას. თუმცა მიშმადიდებლების მცირერიცხოვან ბრბოში ბრმები და ყრუები არიან. მათ, განსაკუთრებით ჭირდებათ უახლესი ისტორიის სწავლა, უკეთეს შემთხვევაში გამეორება, თუმცა, გუბაზ სანიკიძემ ზეპირად იცის ეს ისტორია და გუშინ ჯალალედინს ადარებდა და სამართლიანად უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მიშას მის ხროვასთან ერთად. დღეს როგორ ტკბილ და მურაბა ურთიერთობაშია მათთან. საინტერესოა ადრე ცდებოდა თუ ეხლა შეაცდინეს კომპრომატების ან ჯადოს დიდი დოზით გუბაზმართალდიდებელი? ძალაუფლების ბეჭედი, რომ ძლიერ ჭრიდა თვალს მიხეილს და მის ხელში ჩასაგდებად ყველაფერს იკადრებდა ფაქტია. ირაკლი ოქრუაშვილმა და ნინო ბურჯანაძემ პროკურატურაში, მის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება თუმცა მიშასთვის მიზანი სიცოცხლეზე მეტია, ღირსება არც ქონია არასდროს, მისთვის ძალაუფლება იყო ყოველთვის უპირველესი. თუ, ვინმე ფიქრობს, რომ მიხეილი დიდსულოვანია და მტრებს აპატია ძალიან ცდება...

პირველი ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2014 წლის 28 ივლისს 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლის, ტელეკომპანია „იმედის“ და მეტალურგიული ქარხნის ეპიზოდებზე წარედგინა.

2014 წლის 5 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილს წარედგინა მეორე ბრალდება ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე, რომელზეც 2014 წლის 10 ნოემბერს ბრალი დაუმძიმდა კერძოდ, ბრალდების მხარე ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უკავშირებს.

მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს, ივანე მერაბიშვილს, რომელმაც მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ერეკლე კოდუას დახმარებით შეძლო დავალების შესრულება. შემდეგი ბრალდება მიხეილ სააკაშვილს წარედგინა „სახელმწიფო კუთვნილი ქონების გაფლანგვის“ საქმეზე. ხსენებული ეპიზოდის ფარგლებში საქართველოს სააპელაციო სასამართლომ გასცა განჩინება მიხეილ სააკაშვილისა და მისი მეუღლის — სანდრა რულოვსის ქონების, ასევე, მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშების დაყადაღების შესახებ. პროკურატურის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა პირადი მიზნებისთვის საჭირო თანხების გასაიდუმლოებული ფორმით დახარჯვა.

ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ 2009–2013 წლებში ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დავალებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ, საიდუმლო ფორმით ხდებოდა პრეზიდენტის ისეთი ხარჯების დაფარვა, რომელთა დაფინანსებაც კანონიერად ვერ მოხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ მიერ. თანხების ჩამოწერას გრიფით საიდუმლო პატაკებით ახდენდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი. ასევე, მიხეილ სააკაშვილის განზრახ უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე, გახმაურებულ მკვლელობაზე მსჯავრდებული პირების მიმართ სასჯელის განახევრების გამო შესაძლებელი გახდა ვადამდე პირობით გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება, რის საფუძველზეც მსჯავრდებულები სასჯელის მოხდისგან სრულად





გათავისუფლდნენ.

რაც შეეხება ბურჯანაძეს, მის ჩვენებაში ვკითხულობთ, რომ როდესაც მან სააკაშვილს უამბო გელაშვილის ცემის თაობაზე, იგი მიხვდა, რომ სააკაშვილი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქმის კურსში იყო, იგი შედეგით იყო კმაყოფილი და არანაირი სინანული არ გამოუხატავს... ჯერჯერობით, ძიების მიღმა დარჩა სააკაშვილის მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულები. მათ შორის, არალეგალურ და უკანონო იარაღით ვაჭრობა. რომელსაც ბიძამისი თემურ ალასანიასა და მისი მეგობრები, ქართულ-უკრაინული კომპანია „ბელტრეიდინგის“ საშუალებით ახორციელებდნენ. მათ ოფშორებში ჰქონდათ გაფორმებული თავიანთი ანგარიშები. ჯერ კიდევ 2009 წელს სპეცსამსახურებს საკმაოდ უხერხული კითხვები გაუჩნდათ კომპანიასთან დაკავშირებით, რომელიც რეალურად აწარმოებდა იარაღით ვაჭრობის ოპერაციებს. ამერიკელები კარგად მიხვდნენ, ეროვნებით თურქი, ზეინო ბარანი, რომელსაც გარკვეულ კავშირში ჰქონდა გიულენისა და ერდოღანის გარემოცვასა და ისლამისტების გარკვეულ წრეებთან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში აღმოაჩინეს დემოკრატი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის კეიბლი ამერიკის საელჩოსა და თავდაცვის სამინისტროს საქართველოში იარაღის უკანონო ვაჭრობის თემაზე 2009 წლის ივლისში. ამ დოკუმენტის ხელახლა გამოცოცხლება თითქოს ემთხვევა თემურ ალასანიას გააქტიურებას საქართველოში აჯანყების დაგეგმვასთან დაკავშირებით. წერილში, რომელიც აქტუალური გახდება გამოძიებისთვის, ჰილარი კლინტონი ძალიან სერიოზულ შეკითხვებს სვამს საქართველოს მაშინდელი თავდაცვის სამინისტროს მიმართ. 2009 წელს განხორციელებული ეს ოპერაციები აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ნაყიდი რუსული იარაღი ირანსა და სხვა ქვეყნებში იყიდებოდა.



საითკენაც მიჰყავდა ამ არალეგალურ და უკანონო იარაღით ვაჭრობას და, სწორედ ამიტომაც, მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა საქართველოში, აშშ-ის საელჩოში წერილი გამოაგზავნა. წინასწარი მონაცემებით, ეს იარაღი, რომელსაც ლიცენზიაც კი არ ჰქონდა, უკანონოდ იყიდებოდა სეიშელის კუნძულებზე, სადაც კომპანია „ბოლტრეიდინგი“ უკანონოდ იყო გაფორმებული. ჰილარი კლინტონი შეშფოთებული იყო იმით, რომ ამ კომპანიასა და მის კომპანიონებს არ ჰქონდათ გაფორმებული ბონაფიდეები. ყოფილი სახელმწიფო მდივანი აღშფოთებული აღნიშნავდა, რომ კომპანიას ახორციელებს აღნიშნული იარაღით არალეგალურ ვაჭრობას და დადგენილია მისი კავშირები ორგანიზებულ კრიმინალთან. ასევე მიუთითებდა თემურ ალასანიას კავშირებზე ტარიელ ონიანსა და მისი ორგანიზებული კრიმინალური ბანდის წევრებთან. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ არ ითანამშრომლა ობამას ადმინისტრაციასთან და მეტიც სწორედ მაშინ დაუტკბა ირანს და არამარტო... სააკაშვილმა თავის მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარე ბიძა მაქსიმალურად დაიცვა და პასუხისგებას აარიდა. მაშინ ამ აქტივობებს ბლოკავდა კარგად ცნობილი მეთიუ ბრაიზა, რომლის ცოლიც გახლავთ ეს, სწორედ ის პერიოდია როდესაც საქართველოს ომი უწევს რუსეთთან. ეს იარაღი — ზოგი, მათ შორის, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის-ძალიან გამოადგებოდა საქართველოს 2008 წლის აგვისტოში. მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, რამდენი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა “ბელტრეიდინგის” ოფშორული კომპანიის უკანონო ქმედებების შედეგად. სწორედ ამ კომპანიას უკავშირებენ ჩვენი პარტნიორები თემურ ალასანიასა და მის მეგობრებს. ამბობენ, დაახლოებით, 10–15 მილიარდის იარაღია გადაყიდული მესამე ქვეყნებში შესყიდვის შემდეგ. მათი დანაშაული ჯერ კიდევ არ არის გამოძიებული ჯეროვნად. პარტნიორები აღნიშნავენ, რომ ამ ჯგუფის გააქტიურებას ძალიან დიდ წინააღმდეგობას უწევდა ზურაბ ჟვანია 2004 წლის დეკემბერში. პრემიერმინისტრის სიკვდილის შემდეგ, ამ დანაშაულებრივმა, ტრანს-ნაციონალურმა ჯგუფმა ხელ-ფეხი გაშალა... და ბოლოს, სანამ „ოცნების“ ლიდერების კრიმინალებთან მიწებების უსუსურ არგუმენტებზე ხავილს დაიწყებენ მიხეილმა და მისმა ბანდამ კეზერას, ალასანიას, მერაბიშვილის და სხვების „აღმაფრენა,“ გაიხსენონ და თავის ბოზ ბიძია ბაბუებს მიხედონ!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# როგორ შევუნარჩუნოთ სახე ოპოზიციას?

## პლასტიკური ქირურგი „ხუხა“ გვირჩევს!

ამ ოპოზიციისთვის სახის შენარჩუნებაზე კაცი რომ ფიქრს დაიწყებს, იმის საქმე ვერ არის კარგად.

აბა, რა სახე უნდა შეუნარჩუნო სააკაშვილს ან ბოკერიას, ხაზარაძეს ან ელისაშვილს?

სახის შენარჩუნებაზე არა, მაგრამ ამათი სახეების გადაკეთებაზე რომ იფიქრო, კიდევ ჰო, შეიძლება, რაღაც გამართლება ჰქონდეს.

ელისაშვილის ცხვირი სააკაშვილს რომ მიაკერო, სააკაშვილის ცხვირი ხაზარაძეს რომ გადაუნერგო, ხაზარაძის ტუჩ-ნიკაპი ბოკერიას მიაწებო, ხოლო რაც ბოკერიასგან მორჩება, ვაშაძეს და ბაქრაძეს რომ გადაუნაწილო, შეიძლება მართლა მიიღო საინტერესო და არაორდინარული პერსონაჟები, მერე ამ პერსონაჟებისგან პარტია ჩამოაყალიბო, დაარქვა „ცხვირ-პირგაერთიანებულთა გაერთიანებული ოპოზიცია“ და ეგრევე არჩევნებში შეუშვა.

— არაო, მე მაგ სპეციალობით არ ვსაქმიანობ, მე სახის შენარჩუნების მიმართულებით ვმუშაობო, — ბრძანებს გია ხუხაშვილი, იგივე ხუხა, რომელმაც, როგორც ჩანს, ბოლო ხანებში პლასტიკური ქირურგიის დარგში გადაინაცვლა და ხან ვის უსწორებს მონგრეულ პოლიტიკურ სიფათს და ხან — ვის.

მოვუსმინოთ ბატონ „ხუხას“:

„იმისთვის, რომ მოლაპარაკებები შედგეს, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ეს ვერ იქნება ცალმხრივი, ორივე მხარეს მოუწევს გარკვეული კომპრომისული ნაბიჯების გადადგმა. აქ მთავარია, რომ ეს ყველაფერი მოხდეს ისე, რომ მხარეებს მიეცეს სახის შენარჩუნების საშუალება.

...მე ვფიქრობ, რომ სახის შენარჩუნებით ამ კრიზისის არა ნეიტრალიზება, არამედ საპარლამენტო კედლებში გადატანა, მინიმუმ გადავადება გაზაფხულამდე, ლოგიკური ნაბიჯი იქნება“.



სანამ პლასტიკურ ქირურგიაში გადაინაცვლებდა, მანამდე ბატონი „ხუხა“ ექსპერტი და ანალიტიკოსი იყო და როგორც თავად ამტკიცებდა, მიუკერძოებელ და ობიექტურ შეფასებებს აძლევდა მოვლენებს.

თქვენი მიუკერძოებლობა და ობიექტურობა არ გაიშვა, ბატონო „ხუხა“, თქვე თვალთმაქცობის დიდოსტატო.

ერთხელ მაინც, ერთადერთხელ მაინც ხომ შეიძლება, სიმართლე გეთქვათ, რომ მერე მთელი დარჩენილი ცხოვრება დასაფიცრად და თავის გასამართლებელ არგუმენტად რომ გქონოდათ — აი, მე, ამა და ამ წელს, ამა და ამ დღეს, სიმართლე რომ ვთქვი, ხომ გახსოვთ? აი, ის კაცი ვარ მე და ტყუილი, თქმას როგორ ვიკადრებო?

ხომ შეიძლებოდა ეს სიმართლე ახლა გეთქვათ, ახლა, როცა საქართველოს ძალიან უჭირს, როცა ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, როცა დღეში ათობით ადამიანი იღუპება და მთავარი საკითხი, მთავარი პრობლემა ის კი არ არის, მკვლელების პარტიის, ნაცმოძრაობის და მისი განაყოფების წარმომადგენლები პარლამენტში შევლენ თუ არა, არამედ ის, გადავრჩებით თუ არ გადავრჩებით.

რა სახის შენარჩუნებაზე ლაპარაკობთ თქვენ, პატივცემულო, მათ დიდი ხანია აჩვენეს საქართველოს თავიანთი ნამდვილი სახე და ამ სახეს უთქვენოდაც შესანიშნავად ინარჩუნებენ — ეს არის სახე მკვლელებისა, რომლებიც საქართველოს კლავდნენ და ახლაც კლავენ.

არჩევნების გაყალბებაზე საუბარი მხოლოდ საბაბია, მოტივია, სინამდვილეში, მათ ძალაუფლების მიტაცება სურთ, ეკუთვნით მათ ეს ძალაუფლება თუ არ ეკუთვნით.

იცით თქვენ ეს ყველაფერი, ბატონო „ხუხა“, იცით, და მაინც მკვლელებისა და მოძალადეებისთვის სახის შენარჩუნებაზე ამ შემზარავი და მახინჯი სახეების შელამაზება-გაკოხტავებაზე, მათთვის ფერუმარილის წასმაზე ლაპარაკობთ.

თქვენ და თქვენისთანები არიან მათი არსებობის წყარო, თქვენ და თქვენისთანები ასულდგმულებთ და აცოცხლებთ მათ, თქვენ და თქვენისთანები აძლევთ ენერგიას და ლეგიტიმაციას მათ უბადრუკ არსებობას, მათ ბოგინს ქართულ პოლიტიკაში.

ყველანაირი „იზმი“ საშინელებაა და ასევე საშინელებაა „ხუხიზმი“.

„ხუხიზმი“ — სიმბოლო თვალთმაქცობისა და ფარისევლობისა.



# დედოფალი ვიქტორიას ვნებანი



დედოფალი ვიქტორია მკვეთრად განსხვავდება მსოფლიოს სხვა მმართველებისგან.

სკანდალური, ეპატაჟური, თავქარიანი — ეს სიტყვები მას არ დაახასიათებს. ერთადერთი, რაც მისი სისუსტე იყო, — ეს გახლდათ გემრიელი ჭამა, რადგან ძველებური აღზრდის მეთოდებით, არ შეიძლებოდა სამეფო ოჯახის ბავშვს პური გაძღომამდე ეჭამა.

სამეფო გვირგვინი ვიქტორიამ 18 წლის ასაკში მიიღო და პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ თავისი საწოლი დედის ოთახიდან შორს გადაიტანა, სადაც მას მარტო შეეძლო დაძინება.

ახალგაზრდა დედოფლისთვის საქმრო კანდიდატები დიდი ხნის წინ შეარჩიეს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის სულ პატარა გოგონა იყო. პირველი პრეტენდენტი მისი ბიძაშვილი ალბერტი გახლდათ, მეორე ჰოლანდიელი პრინცი ალექსანდრე, რომელიც სულ ერთი წლით იყო უფროსი და შორეულ ნათესავადაც ერგებოდა დედოფალს.



პრინცი ალბერტი



დედოფალი ვიქტორია

პრინც ალექსანდრეზე ვიქტორია თავის ყმაწვილობისდროინდელ დღიურში წერდა: ძალიან ჩვეულებრივი. ალბერტმა კი ის აღაფრთოვანა.

შეხვედრიდან ორი წლის შემდეგ ისევ ეწვია ალბერტი ბრიტანეთს. უნდა გადაწყვეტილიყო — გახდებოდა თუ არა ის დედოფლის მეუღლე, მაგრამ ისე მოსწონდა ვიქტორიას ალბერტი, რომ ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში ალბერტს დაქორწინება შესთავაზა, იმის მიუხედავად, რომ ინგლისური კანონმდებლობა მმართველ მონარქებთან ქორწინების შეთავაზებას კრძალავდა. ამას თან ერთვოდა ისიც, რომ ალბერტი სხვა ეროვნების იყო. ინგლისში გამეფებული გახლდათ ანტიგერმანული განწყობები, თანაც პრინცი ალბერტის ნათესავები კათოლიკეები იყვნენ. თავად ალბერტი პროტესტანტი გახლდათ, მაგრამ პარლამენტი ეწინააღმდეგებოდა ალბერტის აღიარებას დედოფლის საქმროდ.

ვიქტორია მაინც დაქორწინდა ალბერტზე. ერთად 20 წელიწადი იცხოვრეს და მათი ურთიერთობა იდეალური იყო.

დედოფალმა 9 შვილი გააჩინა. ალბერტი არემონტებდა ვესტმინტერის სასახლეს, ეხმარებოდა მეუღლეს სახელმწიფო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში, თავის თავზე იღებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ დატვირთვებს. ერთი სიტყვით, დედოფლისთვის საუკეთესო მეუღლე გახლდათ.

ალბერტის თაოსნობით აშენდა ბალმორალის ციხე შოტლანდიაში. მეფისა და დედოფლის შოტლანდიაში არყოფნის დროს ციხეს ადგილობრივი მაცხოვრებელი ჯონ ბრაუნი უვლიდა.

ალბერტის გარდაცვალების შემდეგ გავრცელდა ჭორები, რომ ჯონ ბრაუნი ხშირად „ამშვიდებდა“ დედოფალს ქმრის გარდაცვალების მერე...

ამ კავშირის შესახებ მალე შეიტყო სამეფო სახლმა და დედოფლის ნათესავებმა. განსაკუთრებით ბრაზდებოდა ტახტის პრეტენდენტი ახალგაზრდა პრინცი. მისთვის შეუძლებელი იყო ამ სიყვარულის გაგება, მით უმეტეს, რომ დედოფლის ფავორიტი იყო არა ჰერცოგი, ან რომელიმე ადმირალი, არამედ მსახური.

ამასობაში ჯონი გარდაიცვალა. ის 57 წლის გახლდათ. დედოფალმა მის საფლავზე ქანდაკება დაადგმევინა, რომელიც ჯონ ბრაუნის სიმაღლის იყო. დედოფლის შვილები უკმაყოფილო იყვნენ, მეტიც ამ კავშირს „ოჯახის სიცხვილიც“ კი უწოდეს. ეს დედოფლისთვის დიდი დარტყმა იყო.

ვიქტორია კი წერდა წიგნს, რომელშიც ბრაუნი თბილი სინაზით იყო მოხსენიებული.

დედოფლის შვილები ფიქრობდნენ, რომ რაც იყო, იყო და ამით დედოფალი სასიყვარულო სკანდალებს დაამთავრებდა, მაგრამ ისინი კარგად არ იცნობდნენ საკუთარ დედას.

მალე დედოფლის ცხოვრებაში ინდოელი მსახური აბდულ ქარიმი გამოჩნდა.

მუჰამად აბდულ ქარიმი, იყო ადამიანი, რომელსაც სწორედ რომ ვერავინ წარმოიდგენდა დედოფლის ფავორიტად —ქარიმი 24 წლის იყო, ხოლო დედოფალი 68 წლის. ყმაწვილმა აბდულ ქარიმმა იცოდა ინგლისური, მაგრამ კარგად ვერ წერდა და კითხულობდა, ამის მიუხედავად, დედოფალმა ის თავის მრჩევლად დანიშნა ინდოეთის საკითხებში, იგი დიდ დროს ატარებდა ქარიმთან საუბრებში და ჩუქნიდა მას საჩუქრებს.

მალე ახალგაზრდა ინდოელი სასახლეში გავლენიანი პირი გახდა. მას უჩნდებოდა ამბიციები და ამას არც მალავდა.

უდიდესი სკანდალი გამოიწვია აბდულ ქარიმის წყენამ და საყვედურებმა დედოფლის წინაშე, რადგან დედოფლის შვილიშვილის ქორწილში საპატიო ადგილი არ გამოუნახეს.

აბდულ ქარიმი ჯონ ბრაუნისგან მკვეთრად განსხვავდებოდა — თუკი ბრაუნი ერთ მონეტას არ ითხოვდა დედოფლისგან, აბდულ ქარიმს, პირიქით, პრივილეგიებიც იზიდავდა და სიმდიდრეც. თან ფიქრობდა, რომ მას შეეძლო კავშირები დაემყარებინა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და შეეთვისებინა დედოფლისთვის ჰინდუსტანი და ყურანი, რომ ამით ყოფილიყო დაკავებული დედოფალი, რადგან ვიქტორიას არ ჰქონდა ისეთი ასაკი, ახალგაზრდა კაცისთვის საინტერესო რომ ყოფილიყო.

დედოფალს მთელი სამეფო აღუდგა წინ — მისი გატაცება სასახლის ქრისტიანულ მორალს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ვიქტორია არავის არ უგდებდა ყურს.

ამ დაძაბულობაში დედოფალს დიდხანს არ უცოცხლია, იგი გარდაიცვალა.

აბდულ ქარიმს ნება კი დართეს დაკრძალვას დასწრებოდა, მაგრამ ის მალევე გაგზავნეს ინდოეთში, ხოლო დედოფლის მიმოწერა აბდულთან სრულად გაანადგურეს, რათა ინგლისის სამეფო კარის ეს ლაქა მსოფლიოს არ გაეგო, თუმცა ისტორია კვალს მაინც ტოვებს და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც.

მოამზადა
**ირანდა კალანდაძემ**



დედოფალი ვიქტორია და ჯონ ბრაუნი



დედოფალი ვიქტორია და აბდულ ქარიმი

# ტრამპის საბედისწერო შეცდომა



მართალია, აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ არ არის ოფიციალურად დადგენილი და დამტკიცებული, მაგრამ, როგორც ბაიდენი და მისი მხარდამჭერები ამტკიცებენ, ტრამპმა არჩევნები წააგო.

ბაიდენიც კაი ბიჭი ჩანს და ქართველებს მისი გამარჯვება რატომ უნდა გვწყენოდა, თუმცა, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენი სიმპატიები მაინც ტრამპისკენ უფრო იხრებოდა — არის ტრამპში რაღაც ჩვენებური, რაღაც ქართულ-ჯიგრული.

ტყუილად კი არ ეძახდნენ ტრამპს ვიაღაც-ვიღაცები ამერიკელ ზვიად გამსახურდიას.

გამსახურდიას რომ ჰგავდა თავისი იდეებით, ალბათ, იმიტომაც გაუყალბეს არჩევნები.

გამსახურდიასავით ტრამპსაც დინების საწინააღმდეგოდ უყვარს ცურვა და როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზეზით ჩაავლეს ხელი არჩევნების მღვრიე დარანებში დადარაჯებულმა „მებადურებმა“, რომლებიც მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს აკონტროლებენ და თუ ვინმეს განზე გაექცა მხარული, წკაპან! და ეგრევე ფაცერში ამოაყოფინებენ თავს.

ტრამპი ჩივის — არჩევნები გააყალბეს! ხმები მომპარესო.

— რას ჰქვია, კაცო, არჩევნებში გააყალბეს და ხმები მოგპარეს? პრეზიდენტი შენ იყავი და შენ როგორ გაგიყალბეს არჩევნები და ხმები როგორ მოგპარეს? — კითხეს ტრამპს ჯორჯიადან, ანუ საქართველოდან.

— როგორ გამიყალბეს და როგორც ხელისუფლებაში მყოფ „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციაში მყოფმა „ნაცმოძრაობამ“ გაუყალბა არჩევნები, ისე გამიყალბეს მეც. თქვენ მანდ ერთი გოგორიშვილი გყოლიათ, გაყალბების გროსმაისტერი, გაყალბებების ვეტერანი 17 წლიანი სტაჟით. იმას შეუმუშავებია თურმე გაყალბების სქემა, კოდური სახელწოდებით „დისბალანსი“.

— რას ამბობთ? ვინ გითხრათ? კობახიძემ?

— არა, არა, რა კობახიძემ? ჩვენმა დაზვერვამ ჩამოიტანა უტყუარი ინფორმაცია.

— ხუმრობთ?

— რა მეხუმრება, თუ ძმა ხარ? მე რომ მეგონა, ეძინა ამ „მძინარა ჯოს“, თურმე საქართველოდან გაყალბების ერთი ცნობილი სპეციალისტი ჩამოუყვანია და იმან ისე დაალაგა, ანუ ისე არივდარია ყველაფერი, ჩემმა იურისტებმა თავი და ბოლო ვერ გაუგეს, მაგრამ არა უშავს, 2024-ში ისევ ვაპირებ კენჭისყრას პრეზიდენტობაზე და აუცილებლად მოვიწვევ გოგორიშვილს.

ბოლოსდაბოლოს, ვალოდიას ვთხოვ მიშუამდგომლოს.

— ვალოდია ვინ არის?

— ვალოდია არ იცი, ვინ არის? პუტინი პუტინი... ეგეც ქართველია რომ იცოდეთ, კასპიდან, სოფელ მეტეხიდან. წელიწადს წყალში ჩადგება კაცი.

●

ქალბატონი ხათუნა რადიატორთან მიმჯდარიყო და ნიკა მელიასთვის ქუდს ქსოვდა.

კედელზე ზურაბ ჟვანიას გადიდებული სურათი ეკიდა.

გარეთ წვიმდა და ნოემბრის ცივი ქარი უბერავდა.

სახლის ტელეფონმა დარეკა. ყურმილი მოსამსახურე ქალმა აიღო.

— ვინ არის, ნანა? — იკითხა ხათუნამ.

— რა ვიცი, ვალოდია ვარ, მეტეხიდანო, ამბობს... აუცილებელი საქმე მაქვს, დამალაპარაკეთ ქალბატონი ხათუნაო.

— რა ვალოდია, რისი ვალოდია... რა მეტეხი, რისი მეტეხი? — ჩაილაპარაკა ქ-ნ ხათუნამ და კოჭლობით გაემართა ტელეფონისკენ.



ქეთი ახვერდაშვილი

# ლექსები



* * *

მხატვარი რომ ვიყო, მათხოვარს დავხატავდი...
გამოწვდილ ხელით და ჩამქრალი თვალებით...
ავადმყოფს დავხატავდი, სასთუმალს მიჯაჭვულს,
ნანატრი სიცოცხლის დათვლილი წამებით.
პატიმარს დავხატავდი, ძალად მომღიმარეს,
გულში ათასობით დარდი რომ ჩაუკლავს,
გლეხკაცს დავხატავდი,ლუკმ ა-პურისათვის,
ოჯახის მარჩენალი ძროხა რომ დაუკლავს.
მეზვრეს დავხატავდი, ვაზებთან დაჩოქილს
მტევანს რომ დაჰყურებს სეტყვისგან გათელილს.
იმ ბრმას დავხატავდი მზისგან შეღონებულს
ამ მზის რომ არასდროს უნახავს ნათელი.
ემიგრანტს დავხატავდი ქვეყნიდან გადახვეწილს,
ხატებთან დაჩოქილს სანთელი დაუნთია,
სხვისი შვილებისთვის ნუგბარის მკეთებელს,
შვილისთვის სადილი ვერასდროს გაუთბია....
ღმერთო, შეეწიე ყველა გაჭირვებულს
მათი გოდება და თხოვნა შეისმინე
და თუნდაც ამდენი სიკეთის სანაცვლოდ,
ეს ჩემი ცოდვილი სული შეიწირე!....

* * *

...იმ დღისით მართლაც ლამაზად თოვდა,
ვერ ვჩერდებოდი რატომღაც სახლში,
თვალს ვუშტერებდი ფიფქების რბოლას,
და მათაც უმალ ავყავდი ცაში.
თითქოს ველტვოდი რაღაც უხილავს,
რაღაც საოცარს და თანაც ლამაზს...
რა ერქვა ნეტავ ამ აღმაფრენას,
მე ვერ ავხსნიდი ვერაფრით ამას.
და სწორედ იმ დღეს, იმ საოცარ დღეს,
შენ დამესიზმრე თვალებახელილს,
მე არ მკითხავს არცერთი სიტყვა,
შენ კი ამ გრძნობის მითხარ სახელი.
ვერ დავივიწყებ იმ საოცარ დღეს,
მართლაც ნაზად და ლამაზად თოვდა...
ვერ მივხვდი მაშინ და ახლა ვხვდები,
"ცა დედამიწას სიყვარულს სთხოვდა..."

* * *

სიზმრად ვნახე სიყვარულის ღამეს...
 ციდან თეთრი ყვავილები თოვდა...
მოსულიყო მათხოვარი ერთი ,
მოწყალებად წითელ ვარდებს მთხოვდა.
დამესიზმრა სიყვარულის ტაძარს,
სანთლად თეთრი ყვავილები ენთო...
ღაღადებდა მათხოვარი იგი,
წითელ ვარდებს რად არ მჩუქნი, ღმერთო.
ჩაფიქრებით ავუყევი ქუჩას
თეთრ ყვავილებს ქარი მტვერში ხვევდა...
წინ შემომხვდა მათხოვარი იგი,
თვალებში რომ ჩასდგომოდა სევდა.
მივეახლე...წავჩურჩულე კრძალვით,
ვერ შევძლებდი, რაც ვერ შეძლო ღმერთმა...
 რად მაღელვებს ეს სიზმარი ასე,
მინდა მხოლოდ შენ იცოდე ერთმა...
ცხოვრება სასტიკი თამაშია,
თავიდან სწორად თუ ვერ განაგე,
ოცნებით კოშკებს თუ აშენებდი,
მიხვდები, ქოხიც კი ვერ ააგე.
თუ გული უანგაროდ გააჩუქე,
თუ სხვისი სიხარულით იცხოვრე,
თუკი შენი თავი დაივიწყე,
სხვისგან რაღას უნდა ითხოვდე.
ცხოვრება შეცდომას არ გაპატიებს,
შენი ბედი თუ ვერ განკარგე,
ოცნებაც დაგემსხვრევა...იმედებიც,
მიხვდები, ეს ცხოვრება დაკარგე.
ცხოვრება ურთულესი თამაშია,
თავიდან ალღო თუ ვერ აუღე,
გული ვერ დაიტევს, დამიჯერე,
თუ ყველას გულის კარი გაუღე.
თუკი უსასრულოდ გედარდება,
თუკი უსასრულოდ გაღელვებს,
არვინ გაპატიებს არასოდეს,
იქნებ განრისხდეს და აღელდეს.
ნუთუ ეს ქვეყანა შეშლილია,
ან იქნებ შემშალა ფიქრებმა,
მე ისევ ეკლიან გზებით დავალ,
სხვისთვის გაიხაროს ვარდებმა.
ცხოვრება აზარტული თამაშია,
ოცნებით ბროლის კოშკს რომ ვაგებდი,
მაშინ დანგრეულა ჩემი ქოხი
და ახლა ამ ნანგრევებს დავჯერდი.

* * *

ფოტოდან უცხო ქალი მიმზერს...
შენს მხარზე მიუყრდვნია თავი...
არა, არ შემშურდა, მაგრამ
მაინც დავამეტე თავი.
წლები გავიდა და მორჩა,
მხოლოდ წარსულიღა დარჩა,
მაგრამ მოგონება ძველი,
გულის ნაპრალებში ჩამრჩა.
არა...არ გნატრულობ...არა...
და აღარც ქუჩაში გეძებ,
შენს თავს გეფიცები, კარგო,
უშენოდ სიცოცხლეს შევძლებ.
მართლა არ მიყვარხარ უკვე
ფიქრები მაწვალებენ ანცი...
თვალზე მომერია ცრემლი...
დარდმა გამაცალა ქანცი...
ფოტოდან ურცხვად მიმზერს ქალი...
არც თუ მახინჯი და უშნო...
...და ახლა არ გადარდებთ არცერთს,
ამ გულის კივილი უხმო...

* * *

ქარი ყვითელ ფოთლებს ფანტავს...
გარეთ წვიმაა და თქეში...
 ვიცი ვერ გავუძლებ ამდენს,
ვიცი, მარტოობა შემშლის.
- მწუხრის ჩამოეშვა ფარდა,
წარსულის ზმანება მოვა,
ღამე გადაიღებს წვიმა,
დილით დაიწყება თოვა.
- გარეთ ყინვაა და ქარი,
მზერაც შეეყინა სარკმელს...
ვიცი ვერ გამიგებ , მაგრამ
ერთხელ კიდევ გეტყვი სათქმელს.
 - გარეთ წვიმაა და თქეში,
გულში წუხილი და გლოვა,
ვიცი ვერ გავუძლებ ამდენს,
ვიდრე გაზაფხული მოვა.
- ვერ ვთქვი, რაც მინდოდა მეთქვა
და ფიქრიც რატომღაც არ მსურს
ვიცი, ველარაფერს შევცვლი,
ველარც დავაბრუნებ წარსულს.
- ქარი ყვითელ ფოთლებს ფანტავს,
გარეთ წვიმაა და თქეში,
ვიცი, ვერ გავუძლებ ამდენს
და შენზე ფიქრები შემშლის.

# ყველაზე ფალსიფიცირებული და კორუმპირებული არჩევნები

**მსოფლიოში ბევრი არჩევნები გაყალბებულა. ხმის მიცემის ფალსიფიკაცია — ეს არის არჩევნებში ჩარევა ან კანდიდატის გამარჯვების მისაღწევად, ან ოპონენტის წაგებისთვის. ფალციფიკაცია გულისხმობს კანდიდატისთვის ხმების მომატებას ან დაკლებას. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა კანონები მოქმედებს, რომლებიც არეგულირებენ საარჩევნო პროცესს და მათი დარღვევა ფალსიფიკაციის ტოლფასია. ნაცისტური გერმანიიდან დაწყებული, 21-ე საუკუნის სამხრეთში მდებარე აფრიკის ქვეყნითა და თურქეთით დამთავრებული, ეს ყველაზე კორუმპირებული არჩევნებია ბოლო 90 წლის განმავლობაში**




1933 წელს ადოლფ ჰიტლერმა დაარწმუნა გერმანიის პრეზიდენტი პოლ ფონ გინდენბურგი, რომ კანცლერად მისი გახდომის პირველივე დღესვე უნდა დაეთხოვა პარლამენტი. კონსტრუქცია შეიცვალა, რათა ჰიტლერისა და მისი კაბინეტისთვის მიეცათ უფლებამოსილება, რეიხსტაგის მონაწილეობის გარეშე მიეღოთ კანონები. სანებართვო აქტმა ჰიტლერს მისცა უფლება, გაეუქმებინათ ბევრი კანონი, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავდა. სანებართვო აქტი რეიხსტაგმა მიიღო, სადაც ნეონაცისტ წევრებს აშინებდნენ და აიძულებდნენ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მიეცათ ხმა. მხოლოდ რამდენიმე სოციალ-დემოკრატმა მისცა ხმა ამ აქტის წინააღმდეგ.

●

ფერდინანდ მარკოსი ფილიპინელი პოლიტიკოსი იყო, რომელიც ქვეყანას 1965-86 წლებში მართავდა. ქვეყანა კორუფციაში იყო ჩაფლული, მმართველი კი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. 1972 წელს მან ქვეყანა საომარ მდგომარეობაში ჩააყენა, მასმედია აიძულა გაჩუმებულიყო და ოპოზიციონერების წინააღმდეგ ძალადობას მიმართავდა. 1965 წელს მარკოსმა არჩევნებში გაიმარჯვა და ფილიპინების მე-10 პრეზიდენტი გახდა. 1969 წელს მან კვლავ გაიმარჯვა, რამაც მისი დიქტატურის დასაწყისს დაუდო სათავე. 1986 წლის არჩევნებში მთელმა ქვეყანამ მხარი დაუჭირა კორაზონ აკინოს, რომელიც სათავეში ედგა გაერთიანებულ ნაციონალურ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. საარჩევნო კიმისიამ მარკოსი გამოაცხადა გამარჯვებულად, მიუხედავად იმისა, რომ აკინოს 700 000 ხმით მეტი ჰქონდა. აკინომ, მისმა მხარდამჭერებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა შედეგი გააპროტესტეს. ამან რევოლუციამდე მიიყვანა ქვეყანა, რაც 1986 წელს მარკოსის ქვეყნიდან გაძევებით დამთავრდა.

●

დიდ ბრიტანეთში თემთა პალატის საყოველთაო არჩევნები 2001 წლის 7 ივნისს ჩატარდა. ლეიბორისტულმა პარტიამ მხოლოდ 5 ადგილით ნაკლები მოიპოვა. ძირითადად, ეს არჩევნები 1997 წლის დუბლიკატი იყო, როდესაც ლეიბორისტულმა პარტიამ მხოლოდ ექვსი ადგილი დაკარგა. პარტია პოპულარული იყო რადგან ეკონომიკა გააძლიერა და უმუშევრობა დაამარცხა. არჩევნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ 60% მივიდა. შარონ სტორერის არჩევნების დროს ბირმინჰემის ერთ-ერთმა მცხოვრებმა მასმედიის წარმომადგენლებთან პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი გააკრიტიკა ჯანდაცვის ნაციონალური სამსახურის მდგომარეობის გამო, რადგან შარონის პარტნიორისთვის ბირმინჰემში დედოფალ ელიზაბეთის საავადმყოფოში დამატებითი საწოლი ვერ მოიძებნა. ინციდენტი 20001 წლის 16 მაისს მოხდა, ამ სამედიცინო დაწესებულებაში ბლერის ვიზიტის დროს და ტელევიზის რამდენიმე არხით გადაიცემოდა.

●

2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნები რუმინეთში ორ ტურად მიმდინარეობდა. მეორე ტურში 14-იდან ორი პრეტენდენტი გადავიდა, რადგან არც ერთ კანდიდატს არ მოუპოვებია ხმათა 50%-ზე მეტი. მეორე ტური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ვიქტორ პონტასა და ნაციონალურ-ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელს კლაუს იოხანისს შორის გაიმართა. მეორე ტური 16 ნოემბრისთვის დაინიშნა.




საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა არჩევნების შედეგები და პრეზიდენტის პოსტზე კლაუს იოხანისის არჩევა დაამტკიცა. საზღვარგარეთ მყოფმა ამომრჩევლებმა გააპროტესტეს ხმის მიცემის პროცესი და მოითხოვეს, რომ ის საღამოს 9 საათის შემდეგაც გაგრძელებულიყო. საბოლოო შედეგი ყველასთვის სიურპრიზი იყო, რადგან პირველი ტურის შემდეგ პონტა აშკარა ფავორიტი იყო. არჩევნებზე გაკეთდა მრავალრიცხოვანი განცხადებები იმის შესახებ, რომ ხმის მიცემის სანაცვლოდ 6,5 მლნ ადამიანს საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას სურსათი დაურიგდა. ვიქტორ პონტას მოადგილე ასევე დაადანაშაულეს მოლდოვას მოქალაქეების წაქეზებაში, ხმა პონტასთვის მიეცათ. ამ არჩევნების დროს დიასპორის წარმომადგენლები საპროტესტო აქციებს მართავდნენ პარიზის, ლონდონის, ნიუ-იორკისა და მადრიდის საარჩევნო უბნებთან.

●

საყოველთაო არჩევნები სერბეთში 1996 წლის 3 და 16 ნოემბერს ჩატარდა. არჩევნების შედეგები გააპროტესტეს პარტიებმა, როგორც სერბეთში, ასევე ჩერნოგორიაში, როცა სერბეთის სოციალისტური პარტიისა და მისი პარტნიორების კოალიცია ფედერალურ პარლამენტში უმსხვილესი ბლოკი გახდა. ოპოზიციამ რამდენიმე საპროტესტო აქცია ჩაატარა ოლქში არჩევნების ფალსიფიციკაციის პასუხად, რაც პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა ჩაიდინა. 2000 წლის 24 სექტემბერს ჩატარებული არჩევნები 1992 წლის შემდეგ პირველ თავისუფალ არჩევნებად იქცა. პირველადმა შედეგებმა აჩვენა, რომ დემოკრატიული ოპოზიციის კანდიდატმა ვოისლავ კოშტუნიცამ აჯობა მმართველ სლობოდან მილოშევიჩს, მაგრამ მან ვერ მოიპოვა ხმათა 50,1%, რაც აუცილებელი იყო, რომ მეორე ტური არ გამართულიყო. ვოისლავი ამტკიცებდა, რომ ის არა მხოლოდ ლიდერობდა, არამედ ბარიერიც გადალახული ჰქონდა. ვოისლავის მხარდამჭერთა ძალადობა სპონტანურად დაიწყო და 2000 წლის 7 ოქტომბერს აიძულა მილოშევიჩი, ელიარებინა დამარცხება და გადამდგარიყო. მოგვიანებით ხმები ხელმეორედ დაითვალეს, რის შემდეგაც ვოისლავის განცხადებები დადასტურდა.

●

პირველი მრავალპარტიული არჩევნები უგანდაში 2006 წლის 23 თებერვალს ჩატარდა. მოქმედი პრეზიდენტი იოვერი მუსევენი ხელმეორედ იყრიდა კენჭს წინააღმდეგობის ნაციონალური მოძრაობის სახელით. მისი მთავარი ოპონენტი კიცა ბეზინჯე დემოკრატიული ცვლილებების ფორუმის მონაწილე იყო. არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე ბეზინჯე სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს. მის დაპატიმრებას მთელ უგანდაში ძალადობა და არეულობები მოჰყვა. მუსევენიმ ხმების 59%-ით გაიმარჯვა იმ დროს, როცა ბეზინჯემ ხმების მხოლოდ 37% მოიპოვა. მუსევენის პარტიამ პარლამენტშიც ადგილების უმრავლესობა მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ჟიურის წევრთა უმრავლესობამ აღიარა, არჩევნების დიდი დარღვევებით ჩატარების ფაქტი, უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა კენჭისყრის შედეგების გაუქმებაზე.

●

2007 წლის საყოველთაო არჩევნები კენიაში, რომლის დროსაც უნდა აერჩიათ პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები და ადგილობრივი საბჭოს წევრები, 2007 წლის 27 დეკემბერს ჩატარდა. საპრეზიდენტო არჩევნები კიბაკისა და ოპოზიციის ლიდერს რაილკა ოდინგას შორის ბრძოლას დაემსგავსა. არჩევნები გამოირჩეოდა ეთნიკური შუღლით — კიბაკი სათავეში ჩაუდგა კიკუიუს ტომს, რომელსაც დომინანტი პოზიცია ეკავა, ხოლო რაილამ უფრო ფართო ბაზა შექმნა და ხუთი ტომი გააერთიანა. მიუხედავად საზოგადოებრივი აზრისა, რომლის თანახმადაც, რაილას ხალხის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა, ხმების 46%-ით კიბაკი გამოაცხადეს გამარჯვებულად, მაშინ, როცა რაილამ 44% დააგროვა, თუმცა რაილა ოდინგას პარტიამ ნაციონალურ კრებაში უმრავლესობა მოიპოვა. ოდინგამ და მისმა მომხრეებმა შედეგები გააპროტესტეს, რადგან თვლიდნენ, რომ ოდინგამ მოიპოვა ხმათა უმრავლესობა რვიდან ექვს პროვინციაში. კიბაკის სასწრაფოდ დაადებინეს ფიცი 2007 წლის 30 დეკემბერს. ძალადობამ მაშინვე იფეთქა, როგორც კი შედეგები გამოცხადდა. არეულობებს 1300 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. რაილამ და კიბაკიმ მოგვიანებით კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბეს, რომლის პრემიერ-მინისტრიც ოდინგა გახდა.

●

თურქეთის 24-ე საყოველთაო არჩევნები 2015 წლის 7 ივნისს ჩატარდა და ოთხმა პარტიამ ცვალებადი შედეგებით გაიმარჯვა. მაშინდელმა მმართველმა პარტიამ — სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ საპარლამენტო უმრავლესობა დაკარგა, რადგან მხოლოდ ხმების 40,9% პროცენტი მოიპოვა. სხვა პარტიებს შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ არჩევნებში, იყო რესპუბლიკური სახალხო პარტია, ნაციონალური მოძრაობის პარტია და სახალხო-დემოკრატიული პარტია. მიუხედავად ამისა, თავად არჩევნები დაჩრდილა არჩევნებამდე, არჩევნების მსვლელობისა და შედგების შემდეგ გამოცხადებულმა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებმა. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი დაადანაშაულეს არჩევნების ფალსიფიკაციასა და სხვა მრავალრიცხოვან დარღვევებში — სახელმწიფო რესურსების გამოყენებაში, ამომრჩეველთა არასწორი მონაცემებში, მედიასაშუალებების მიკერძოებულობასა და დაშინებაში. ამ ბრალდებებმა პოლიტიკურ ძალადობასა და ვანდალიზმამდე მიიყვანა ქვეყანა, განსაკუთრებით ეს კანონდარღვევა კანდიდატების ქონების მიმართ განხორციელდა. უმაღლესი საარჩევნო საბჭო დაადანაშაულეს ასევე საარჩევნო ბიულეტენების ჭარბი რაოდენობის დაბეჭდვაში, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. ხმის მიცემის პროცესში ბევრი დარღვევა აღინიშნა. 2015 წლის 3 ივნისს არჩევნებზე დამკვირვებელი ვოლონტიორების ჯგუფმა და სხვა ჯგუფებმაც განაცხადეს, რომ პარტიებმა დამატებითი ხმები დაარეგისტრირეს, რამაც ქვეყანაში პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა გამოიწვია. სამართლიანობისა და განვითარების პარტია ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მოითხოვდა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, 2015 წლის 1-ელ ნოემბერს ჩატარდა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
9 772233 398001